

დასაწყისიდან დასასრულამდე

A4



ხელშეუხებელი მისტერიების შესახებ

A7



რუსმა ჩემპიონობისთვის კბილი, ქართველმა კი გონება დაკარგა

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 30 სექტემბერი, 2006 წელი. №216 (1368)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51,*
*"24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 30/09 | 1/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | 26 |
| ბათუმი | 27 | 25 |
| სოხუმი | 25 | 23 |
| ქუთაისი | 26 | 26 |
| გორი | 21 | 22 |
| ონი | 17 | 19 |
| ზუგდიდი | 28 | 25 |
| ახმეტა | 25 | 26 |
| სამტრედია | 27 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7355 |
| ევრო | 2.1970 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2400 |
| რუბლი | 0.0648 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| რევიუ | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# ხელისუფლება და ოპოზიცია რუსეთმა შეარიგა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრებმა, ხელისუფლების ტრადიციული კრიტიკის ნაცვლად, საზოგადოებას ერთიანობისა და კონსოლიდაციისკენ მოუწოდეს, რათა მოსკოვს შიდადაპირისპირების თემით სპეკულირების საშუალება არ ჰქონდეს.*

**"რუსეთიდან წამოსული მუქარა და აგრესია მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების, არამედ მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ,"** - ფრაქციისა და მასში

გაგრძელება A3 გვერდზე



ივერი [illegible] ფოტო

"დემოკრატიული ფრონტი" ხელისუფლების ქმედებებს სრულად ამართლებს.

# ორთვიანი პატიმრობა ჯაშუშობაში ბრალდებულებს

*ამიერკავკასიაში რუსეთის გენერალურ შტაბთან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ალყის მოხსნას არ აპირებენ. "საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შენობასთან იმ დრომდე დარჩებიან, ვიდრე ეს საჭირო იქნება", - ასეთია ქართველი სამართალდამცველების პასუხი რუსეთის მხრიდან წამოსულ პრეტენზიებზე. დათმობას არც რუსული მხარე აპირებს - დივერსანტობისთვის ძებნილი პიჩუგინის ქართველი სამართალდამცველებისთვის გადაცემას კატეგორიულად გამორიცხავს.*

ქართველმა სამართალდამცველებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორიდან ერთ-ერთი დაკავებული, რუსლან სკრილნიკოვი გაათავისუფლეს. შსს-ს ინფორმაციით, რუსლან სკრილნიკოვი სამხედრო პირი არ არის, ის საქართველოს მოქალაქეა და მასთან გამოძიებას მხოლოდ რამდენიმე შეკითხვის დასმა სურდა. თანაც, სკრილნიკოვის დაკითხვისას გამოძიებამ მისი კავშირი ჯაშუშობასთან არ დაადასტურა.

გაგრძელება A2 გვერდზე



დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს.

# ჩვენებურების ფოტოისტორია

## ქარვასლაში უნიკალური ფოტოგამოფენა გაიხსნა

A 4



ფერეიდანი. სამზადისი მუჰარემის დღესასწაულისათვის.

# რუსეთი საქართველოს შეშინებას ცდილობს

*ქართველი პოლიტიკოსების შეფასებით, რუსეთი ისტერიკაშია და ქართული მხარის დაშინებას ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ცდილობს.*

ნათია მსხილაძე

საქართველოს პრეზიდენტმა რუსი დიპლომატების ოჯახის წევრების მიერ საქართველოს დემონსტრაციულად დატოვების ფაქტი პროპაგანდისტულ ნაბიჯად შეაფასა. პრეზიდენტის განცხადებით, მათ საქართველოში არაფერი ემუქრებოდათ და არც დაემუქრებათ. **"ჩვენ უნდა ვიყოთ მშვიდად, დარწმუნებული საკუთარ ძალებში, ყველაფერი სამართლიანად და კანონის ფარგლებში შესრულდება. ვიმოქმედებთ ისე, როგორც იმოქმედებდა ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფო მთელ მსოფლიოში,"** - აცხადებს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩატარებულ სპეცოპერაციასა და რუსეთის ფედერაციის გარშემო შექმნილ ვითარებაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანს, კონდოლიზა რაისსა და ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის - ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს, კარელ დე გუხტს ტელეფონით ესაუბრა. პრეზიდენტმა საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის შესახებ კონსულტაციის უმაღლეს დონეზე გაგრძელების სურვილი გამოთქვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთმა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები ამოწურა. **"რუსეთს არანაირი სანქციების რეზერვი აღარ აქვს დარჩენილი. ყველა სანქცია, რომელიც კი შეეძლო აემოქმედებინა, უკვე ამოქმედებულია,"** - აღნიშნა ოქრუაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთი ჯაშუშების ჩავარდნას ვერ ინელებს

*ქართველი სამართალდამცავების მიერ ჯაშუშობის ბრალდებით რუსი ოფიცრების დაკავებას ოფიციალური მოსკოვი ვერაფრით ინელებს. რუსეთის ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობს საქართველოს დისკრედიტირებას და ამ მიზნით სხვადასხვა ხერხებს მიმართავს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ტრიბუნის გამოყენებიდან დაწყებული და თბილისიდან თავისი მოქალაქეების ევაკუაციით დამთავრებული.*

გიორგი ასანიშვილი

როგორც ცნობილია, უახლოეს პერიოდში გაერო-ს უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს რეზოლუცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით. რუსული მხარე ამ მომენტის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობს და ძალღონეს არ იშურებს, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ოფიციალური თბილისის ბოლოდროინდელი "ძალადობაც" აისახოს. თუმცა, გაერო-ში საქართველოს ელჩის ირაკლი ალასანიას განცხადებით, უშიშროების საბჭომ რეზოლუციის განხილვა გადადო და რუსეთისგან დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა. ალასანია დარწმუნებულია, რომ რუსეთის მხარის მიერ შემოთავაზებულ რეზოლუციის პროექტს უშიშროების საბჭო არ მიიღებს.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე გამოსვლისას, რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა საქართველოში რუსი ოფიცრების დაკავება "მიუღებელ პროვოკაციად" შეაფასა და უშიშროების საბჭოს წევრ-სახელმწიფოებს საქართველოზე ზეწოლისკენ მოუწოდა, რათა ამ უკანასკნელმა "შეწყვიტოს აქციები, რომლებმაც, შესაძლოა, რეგიონში მშვიდობას შეუქმნას საფრთხე".

მასმედიაში ასევე ვრცელდება ვიტალი ჩურკინის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსი ოფიცრების დაკავება "არის პროვოკაციულ ქმედებათა კულმინაციური წერტილი, რომელშიც დამნაშავე საქართველოს ხელისუფლებაა".

საქართველოს მისამართით ბრალდებები გუშინ სლოვენიის ქალაქ პორტოროჟშიც გაისმა, სადაც ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა ტარდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "სახალხო დაზღვევა" და "სახალხო ფოსტა"

## "სახალხო ბანკის" ორი "სახალხო შვილობილი"

*გუშინ "სახალხო ბანკის" შვილობილი კომპანიების: "სახალხო ფოსტისა" და "სახალხო დაზღვევის" პრეზენტაცია გაიმართა. ახალი კომპანიები არა მხოლოდ თბილისსა და ქვეყნის მსხვილ ქალაქებში, არამედ მთელ საქართველოში იმოქმედებენ.*

"სახალხო ბანკის" შვილობილი კომპანია "სახალხო ფოსტა" სრულად მოიცავს საქართველოს ბაზარს და საფოსტო სერვისის გარდა, მომხმარებელს მრავალფეროვან საფინანსო მომსახურებას შესთავაზებს. მათ შორის: პენსიებისა და სოციალური დახმარებების ადგილზე მიტანას, ფულად გზავნილებს, კომუნალურ და სხვა სახის გადასახადების გადახდის სერვისს, აგრეთვე ქართული და უცხოური პრესის გავრცელებას.

**"ყოველი საფოსტო გზავნილის უკან კონკრეტული ადამიანი ან კომპანიაა, რომელიც "სახალხო ფოსტას" საფოსტო გზავნილის გადაცემას ანდობს. ის შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან დოკუმენტებს, ფულად სახსრებს ან უბრალოდ ადამიანურ გრძნობებს. ყველა ზომას ვიხმართ, რათა ყოველივე ეს ადრესატისთვის დროულად, სრულად და უსაფრთხოდ იქნეს მიწოდებული. ნდობა - ეს არის პასუხი პროფესიონალურად შესრულებულ სამუშაოზე, რომელიც ჩვენი კომპანიისთვის ათასობით საფოსტო გზავნილებით იზომება, რომლებიც თავიანთ ადრესატს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იპოვიან,"** - განაცხადა გუშინ პროექტის პრეზენტაციაზე "სახალხო ფოსტის" დირექტორმა ზვიად საჯაიამ.

"სახალხო ფოსტის" პარალელურად ბაზარზე ფუნქციონირებას ახალი სადაზღვევო კომპანია "სახალხო დაზღვევა" იწყებს. კომპანია მომხმარებელს ნებისმიერი სახის სადაზღვევო მომსახურებას გაუწევს.

"სახალხო დაზღვევის" გენერალური დირექტორის ეკატერინე იაშვილს თქმით, კომპანიის პრიორიტეტი მომხმარებლისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სერვისის შეთავაზება და ინოვაციების დანერგვა იქნება. "სახალხო დაზღვევის" მთავარი უპირატესობა კი მომსახურების დაბალი ტარიფებია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჟურნალისტების დარბევაში ბრალდებულები გაათავისუფლეს

*სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ჟურნალისტების დარბევაში ბრალდებული, სოფელ საქობოს საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ ნანობაშვილი და ნაცმოძრაობის წევრი ბაჩო მუნჯიშვილი საპროცესო გარიგების საფუძველზე დარბაზიდან გაათვისუფლა. მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აპროტესტებენ.*

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ აქციაზე დარბეული ჟურნალისტების საქმის განხილვა დაასრულა. მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილმა დანაშაულში ბრალდებულებს, სოფელ ვაქირის საკრებულოს თავმჯდომარეს და ნაციონალ ბაჩო მუნჯიშვილს განაჩენი რამდენიმე დაზარალებულის დაუსწრებლად გამოუტანა. სწორედ ამის გამო, არასამთავრობო ორგანიზაციების "იურისტთა განვითარებისა" და "ადამიანის უფლებათა და სადოკუმენტაციო დაცვის ცენტრის" წარმომადგენლები მოსამართლე კიკილაშვილის გადაწყვეტილების გაპროტესტებას აქციებით გეგმავენ. "იურისტთა განვითარების ცენტრის" ხელმძღვანელის თინიკო ფხოველიშვილის განცხადებით, **"მართალია, მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, დაზარალებულების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც შეუძლია, მაგრამ არასამთავრობოების პროტესტს იწვევს ის, რომ მოსამართლემ ჩვენი ინტერესები არ გაითვალისწინა. კერძოდ, ბარლდებულების გარეთ ყოფნით ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რადგანაც, ვაქირის გამგებელი დაკავების დროს იმუქრებოდა, როცა გარეთ გამოვიდოდა შურს იძიებდა".**

ფხოველიშვილს მიაჩნია, რომ დანაშაულში ბრალდებულ ისოებ ნანობაშვილის ციხეში ყოფნა ნაციონალ დეპუტატს, ნუგზარ აბულაშვილს ხელს არ აძლევდა. **"იმ შემთხვევაში, თუ ნანობაშვილი არ გამოვიდოდა, იგი ნუგზარ აბულაშვილს "ჩაუშვებდა". ვაქირის გამგებელმა დეპუტატის საქმეები იცის და სწორედ აბულაშვილის ბრძანებით მოხდა ბრალდებულის ციხიდან გამოშვება. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, როგორ ემუქრებოდა ნანობაშვილი აბულაშვილს, თუ მას ციხიდან არ გამოუშვებდნენ",** - ირწმუნება თინიკო ფხოველიშვილი.

ინციდენტი ჟურნალისტებსა და დანაშაულში ბრალდებულებს შორის 15 ივნისს მოხდა, როცა არასამთავრობო ორგანიზაციები თვითმმართველობის მხარდასაჭერად სოფელ ანაგაში თეატრალიზებულ აქციას მართავდნენ. სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა გაზეთ "24 საათის" კორესპონდენტსაც მიაყენეს. სიღნაღის რაიონულმა სამართლომ იოსებ ნანობაშვილი და ბაჩო მუნჯიშვილი საპროცესო შეთანხმებით - 3 ათასი ლარის გირაოს გადახდით სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა.

*24 საათი*

# ორთვიანი პატიმრობა ჯაშუშობაში ბრალდებულებს

პირველი გვერდიდან

ჯაშუშობისა და შპიონაჟის ბრალდებით დაკავებულ დანარჩენ ეჭვმიტანილებს კი სახელმწიფო ბრალდებამ ბრალი ოფიციალურად წარუდგინა და სასამართლოს მათთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართა.

ბრალდებულებისთვის აღმკვეთი ღონისძიების საკითხის განხილვა ორი სხვადასხვა ინსტანციის - თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს დაევალა. ამის მიზეზად თბილისის საქალქო სასამართლოში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დასახელდა. შესაბამისად, ჯაშუშობაში ბრალდებული რუსი ოფიცრებისა და საქართველოს მოქლაქეების წინასწარი პატიმრობის საკითხის განხილვა ორ მოსამართლეზე გადანაწილდა. ორივე მოსამართლემ ბრალდების არგუმენტები და ბრალდებულების წინააღმდეგ მოპოვებული დანაშაულებრივი მტკიცებულებები საკმარისად ჩათვალა და ყველა მათგანს წინასწარი ორთვიანი პატრიმრობა შეუფარდა.

როგორც დაკავებულების ადვოკატებმა განაცხადეს, დაკავებულთა უმრავლესობამ, საქართველოს მოქალაქეებმა, წარდგენილი ბრალდება აღიარეს, ამიტომ ადვოკატებმა სასამართლოს გირაოს სახით თანხა შესთავაზეს. გირაოს თანხის დასახელების დროს გათვალისწინებული იყო დაკავებულების ოჯახური მდგომარეობა, თუმცა გირაოს შეფარდების შუამდგომლობა მოსამართლემ არ გაითვალისწინა.

ორივე ინსტანციის სასამართლოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფების წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებული. პროცესები პარალელურად, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა. სახლმწიფო ბრალმდებლების მოთხოვნით, მოსამართლეებმა პროცესი დახურულად გამოაცხადეს.

**"სასამართლო დარბაზში გაჟღერდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს, ამიტომ, მიზანშეწონილი არ არის, პროცესი საჯარო იყოს",** - ასეთი იყო ბრალდების პოზიცია.



პროცესი დახურულ რეჟიმში ჩატარდა.

ინტერპრესის ფოტო

ჯაშუშობაში ბრალდებულ რუს ოფიცრებსა და მათთან ერთად დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს ქართველი, სახაზინო წესით დაქირავებული ადვოკატები იცავენ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ადვოკატს.

პროცესების მიმდინარეობისას თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს შენობებთან ხალხმრავლობა იყო. დაკავებულების ოჯახის წევრები ცდილობდნენ, ბრალდებულების უდანაშაულობა დაემტკიცებინათ. სხვათა შორის, ჯაშუშობაში ბრალდებულთა ოჯახის წევრებმა არ უარყვეს, რომ დაკავებისას ქართველმა სამართალდამცველებმა ყველანაირი სამართლებრივი ნორმა დაიცვეს და კანონსაწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებიათ.

სამართალდამცველთა ბრალდებით, საქართველოში მოქმედი ჯაშუშური ჯგუფის ხელმძღვანელი, გრუ-ს პოლკოვნიკი ალექსანდრე სავვა და პოდპოლკოვნიკი დიმიტრი კაზანცევი, გრუ-ს პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ზავგოროდნი, მაიორი ალექსანდრე ბარანოვი, არტაშეს ბალოიანი, ვიქტორ ორეხოვი, ვიქტორ ზაზრუგინი, იური ზაზრუგინი, გოდერძი ძულიაშვილი, გია კაკაურიძე, აზიზ ასლანიანი, კარენ აზოიანი, პეტრე აზრამიანი და ბესო გაბაიძე უკვე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან. ერთ-ერთ ბრალდებულს ალექსანდრე ზალინიანს სასამართლომ გირაოს გადახდა დააკისრა. მან ორი თვის ვადაში 100 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მისი უწყება დაკავებული აგენტურული ქსელის წარმომადგენელთა შესახებ ახალ მასალებს ყოველდღიურად გამოაქვეყნებს.

შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ მტკიცებულებებს რუსეთის ელჩი საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკო არ ენდობა და აცხადებს, რომ რუსი სამხედროების აგენტობის შესახებ გავრცელებული ვიდეომასალა მონტაჟი იყო.

**"ვერაფერი გავიგე იმ ვიდეო და აუდიო ჩანაწერებიდან, რომლებიც საქართველოს შსს-მ გაავრცელა ჯაშუშობისთვის დაკავებული რუსი ოფიცრებისა საქართველოს მოქალაქეების ბრალდების დასადასტურებლად. ფარული გადაღება, რომელიც ტელევიზიით აჩვენეს, დამონტაჟებული იყო. გარდა ამისა, საკმაოდ ბუნდოვანი იყო და არ ჩანდა ფაქტები, რომლებიც სამხედროების ბრალეულობას დაამტკიცებდა",** - აცხადებს ელჩი.

კოვალენკომ საქართველოს ხელისუფლებას დაკავებულების დაუყოვნებლივ გათავისუფლება და "უსაფუძვლო დაკავებისთვის" ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.

არადა, შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, რუს მაღალჩინოსნებთან ერთად ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულმა საქართველოს რამდენიმე მოქალაქემ დანაშაული აღიარა.

"დაკავებულებმა დანაშაული მოსამართლეებისა და ადვოკატების წინაშე აღიარეს", - განაცხადა შს მინისტრმა. ვანო მერაბიშვილმა ამ განცხადების შესაბამისი ვიდეომასალაც გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, აღიარებით ჩვენებებს იძლევიან რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამსახურის აგენტები: გოდერძი ძულიაშვილი, ვიქტორ ორეხოვი, გია კაკაურიძე, არტაშეს ბალოიანი და პეტრე აშრაფიანი.

შს მინისტრის თქმით, ბრალდებულთა აღიარებითი ჩვენებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აგენტების დაკავება უსაფუძვლოდ არ განხორციელებულა.

*24 საათი*

# ცვლილებები "პატიმრობის შესახებ" კანონში

*პენიტენციურ სისტემაში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა პატიმართათვის პაემნების შეზღუდვაა. ცოტა ხნის წინათ, ამ "პრივილეგიის" ჩამორთმევის გამო, რუსთავის საპყრობილის პატიმრებმა შიმშილობის აქცია მოაწყვეს. პატიმრები და მათი ახლობლები ამ შეზღუდვის თაობაზე სერიოზულ პრეტენზიას ახლაც გამოთქვამენ.*

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა "პატიმრობის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები შეიმუშავა. კანონპროექტის თანახმად, აღნიშნული კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი შეიცვლება, რომლის მიხედვითაც, პატიმარს ხანმოკლე პაემნის უფლებას გამომძიებელი და პროკურორი მისცემს და არა - მოსამართლე, როგორც აქამდე იყო.

სახალხო დამცველი კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე თავის შენიშვნებსა და მოსაზრებებს გამოთქვამს, რაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესაც გაუგზავნა.

სახალხო დამცველი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ პატიმრისთვის პაემნის უფლების გაცემის პროცედურიდან მოსამართლეების ჩამოშორება სწორი ნაბიჯია, რადგან ამ ცვლილებით მოსამართლეებს ზედმეტი ფუნქცია მოეხსნებათ, ხოლო პატიმრებისთვის პაემნის უფლების მიღების პროცედურა გამარტივდება.

თუმცა, სახალხო დამცველის განცხადებით, კანონპროექტში ხანმოკლე პაემნის მინიმალური რაოდენობა გათვალისწინებული არ არის, რის გამოც მუხლი შესაძლოა, პროკურორმა ან გამომძიებლმა არასწორად განმარტონ და პატიმარს საერთოდ არ მიეცეს ხანმოკლე პაემნის უფლება. ამიტომაც, სოზარ სუბარის აზრით, "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უნდა იყოს პატიმრისთვის თვეში, სულ მცირე, ორი პაემნის უფლება.

**"ფორმულირება "შეიძლება მიეცეს" პრაქტიკაში, შესაძლოა, გაგებულ იქნეს - "შეიძლება არ მიეცეს"; ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის საერთო ვადა შეიძლება გაგრძელდეს 9 თვემდე და თუ ამ პერიოდის განმავლობაში პატიმარს არ მიეცემა მოკლევადიანი პაემნის უფლება, ეს გამოიწვევს პატიმართა ცხოვრების პირობების მნიშვნელოვნად გამკაცრებასა და პატიმართა მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესებას",** - აცხადებს სახალხო დამცველი, რომლის თქმითაც, პატიმრების რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი პაემნები - პატიმრის კონტაქტი ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან; მით უმეტეს, რომ ევროსაბჭოს კომიტეტის ევროპის ციხეების წესებთან დაკავშირებული 2006 წლის რეკომენდაციით და პატიმრებთან მოპყრობის გაერო-ს მინიმალური სტანდარტებით დადგენილია, რომ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ვიზიტების საშუალებით, რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახთან, ცოლთან, პარტნიორთან, ბავშვებთან და კარგი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან. საერთაშორისო სტანდარტი შეეხება იმ პირებსაც, რომელთა მიმართაც არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ისინი უდანაშაულოდ ითვლებიან.

გარდა ამისა, გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა იკვე მოუწოდა საქართველოს მთავრობას, "უზრუნველყოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანებისთვის ახლობლებთან შეხვედრა, როგორც პრინციპის საკითხი," თანაც, ამავე რეკომენდაციით, შეხვედრა პროკურორის, გამომძიებლის ან მოსამართლის ნებართვის გარეშე, საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციის ნებართვით უნდა მოხდეს.

სოზარ სუბარი აცხადებს, რომ პაემნის უფლების მიცემა ვერ ხორციელდება ერთ დღეში და პატიმრების ახლობლებს უწევთ გამომძიებელთან ან პროკურორთან რამდენჯერმე მისვლა, რადგან ოჯახის წევრმა ან ახლობელმა თავდაპირველად უნდა ჩააბაროს განცხადება პატიმრის ნახვის თხოვნით; რამდენიმე დღეში უნდა მიაკითხოს პაემნის ნებართვის წამოსაღებად და ნებართვა უნდა წარადგინოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, ეს პროცედურა დაკავშირებულია მატერიალურ ხარჯებთან, მით უმეტეს, რომ პატიმართა ოჯახის წევრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობენ და მათთვის რთულია პაემანის უფლების მისაღებად გამომძიებლთან თუ პროკურორთან რამდენჯერმე მისვლა.

ამიტომაც, სახალხო დამცველსაც მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პაემნის მიცემის უფლება სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციას დაეკისროს.

*24 საათი*

# თანამშრომლობის დეკლარაცია სასაზღვრო პოლიციაში

სასაზღვრო პოლიციას სამუშაო ვიზიტით ლიტვის სასაზღვრო უწყების დელეგაცია ეწვევა. როგორც სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, ვიზიტი 2 ოქტომბერს დაიწყება. დელეგაციას ლიტვის სასაზღვრო სამსახურის პირველი პირი, გენერალ-ლეიტენანტი საულიუს სტრიპეიკა უხელმძღვანელებს.

ვიზიტის მიზანია მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრის დაცვის, მიგრაციის კონტროლის, საერთაშორისო თანამშრომლობის, ლოჯისტიკური უზრუნველყოფისა და თანამშრომელთა ტრეინინგების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.

"ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანია ლიტვის სასაზღვრო უწყების გამოცდილების გაზიარება, ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ლიტვის რესპუბლიკამ მსგავსი გზა გაიარა",- აცხადებენ სასაზღვრო პოლიციაში.

ლიტვის დელეგაცია ვიზიტს 4 ოქტომბერს დაასრულებს. მანამდე კი, პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის დეკლარაციას მოეწერება ხელი.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### ადვოკატები პროკურატურის პასუხის მოლოდინში

**"ჩემი უდანაშაულო შვილის სისხლს არავის შევარჩენ. ყველაფერს გავაკეთებ სიმართლის დასადგენად",** - აცხადებს 2 მაისს, ჩოგბურთის კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული ზურაბ ვაზაგაშვილის დედა. ვაზაგაშვილის ოჯახის წევრები საკუთარი უფლებების დაცვას და მოკლულის რეაბილიტაციას ევროპის ადამიანის უფლებათ დაცვის სასამართლოში აპირებენ.

ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის ინტერესების დამცველები გენერალურ პროკურატურაში მორიგი შუამდგომლობის შეტანას აპირებენ. ადვოკატები ირმა ჭკადუა და მალხაზ ჯანგირაშვილი ვაზაგაშვილის ლიკვიდაციის ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილების გადაცემას მოითხოვენ, რათა მისი გასაჩივრების საშუალება მიეცეთ.

**"დაზარალებულსა და პროკურატურას შორის უკანონო ბრძოლა გრძელდება, არადა, კანონის თანახმად, დაზარალებული და პროკურატურა, ფაქტობრივად, ერთი მხარე უნდა იყოს. გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს დღემდე ოთხჯერ მივმართეთ შუამდგომლობით, რომლებიც, კანონით, 24 საათში უნდა განხილულიყო. მათი პასუხი დღემდე არ მიგვიღია"** , - აცხადებენ ადვოკატები.

საქმე ისაა, რომ ვაზაგაშვილის ინტერესების დამცველებს, ისევე, როგორც ლიკვიდირებულის ოჯახს, რომელიც პროკურატურამ დაზარალებულად ცნო, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ჯერ კიდევ არ მისცემიათ.

როგორც ადვოკატები განმარტავენ, თუ გენერალური პროკურატურა, ბოლო შუამდგომლობასაც არ დააკმაყოფილებს, ისინი ჩათვლიან, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ყველა სამართლებრივი პროცედურა უკვე ამოწურულია და საკუთარი უფლებების დაცვას ევროსასამართლოში შეეცდებიან. **24 საათი**

### მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკაში, დილის ცხრა საათიდან, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები დაიწყება. იუსტიციის საბჭოში განაცხადი სულ 657-მა პრეტენდენტმა შეიტანა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კონკურსანტებს 6 ოქტომბერს წერითი გამოცდა ჩაუტარდებათ.

სამოსამართლო ვაკანსიების დაკავების მსურველებს გამოცდები სისხლის, სამოქალაქო და საერთო სამართალში ერთდროულად ჩაუტარდებათ. ტესტირების პასუხები დღესვე გახდება ცნობილი. გამოცდებს მაქსიმალური გამჭვირვალობის მიზნით, ადგილობრივი უწყებებისა და საერთაშორის ორგანიზაციების დამკვირვებლები დაესწრებიან. **ინტერპრესნიუსი**

### ესტონელი ნოტარიუსების ვიზიტი თბილისში

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მოწვევით, საქართველოს 5-დღიანი ვიზიტით ესტონეთის ნოტარიუსთა პალატის დელეგაცია ეწვევა, რომელსაც პალატის გამგეობის წევრი ტავრო პური უხელმძღვანელებს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. 2 ოქტომბერს გაიმართება ერთობლივი სემინარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და ესტონელი ნოტარიუსები.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ხელმძღვანელის ნინო ხოფერიას ინფორმაციით, სემინარი მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურულ ცენტრ "მუზაში" გაიმართება. ღონისძიებაზე განიხილება შემდეგი საკითხები: კანონმდებლობის აქტუალური სამართლებრივი განვითარება საქართველოსა და ესტონეთში; სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა საქართველოში; ქართული სამართლებრივი განათლება და იურისტთა სწავლების ორგანიზაცია; საჯარო რეესტრი ესტონეთსა და საქართველოში; თანამედროვე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება ნოტარიუსთა საქმიანობაში და სამემკვიდრეო და საავტომობილო რეესტრის წარმოება. **პრაიმ-ნიუსი**

### გამოძიება მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების სამმართველომ სს "ინტელექტბანკის" ყვარლის ფილიალის ყოფილი მმართველი იური პეიტრიშვილი დააკავა.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, პეიტრიშვილმა 2001 წლის 22 ნოემბერს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და გაყალბებული საბანკო დოკუმენტაციით ერთ-ერთ მოქალაქეზე, რომლის ვინაობაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ სახელდება, გააფორმა სესხი 44 960 დოლარის ოდენობით.

გამოძიების ინფორმაციით, პეიტრიშვილმა ეს თანხა თავად გამოიტანა ბანკიდან და სრულად მიითვისა. საქმის გამოძიება თითქმის დასრულებულია და რამდენიმე დღეში საქმე სასამართლოში გადაიგზავნება.

ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით (მითვისება-გასფლანგვა) დაიწყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უცხოეთი

### არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები

რუსეთში კატასტროფულად იზრდება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულთა რიცხვი. სტატისტიკის თანახმად, მოსკოვში არასრულწლოვანებმა ჩაიდინეს 1,7 ათასი დანაშაული, 279-ით მეტი გასულ წელთან შედარებით. მოსკოვის პროკურატურის სამმართველოს უფროსის მოადგილის დენის რეპკინის განცხადებით, არასრულწლოვანთა მიერ უკვე ჩადენილია 18 მკვლელობა, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 11 მკვლელობა იყო აღრიცხული.

რეპკინის ინფორმაციით, დიდი რაოდენობით დანაშაულს ჩადიან 16-17 წლის არასრულწლოვანები. სტატისტიკის მიხედვით, ამ ასაკის კრიმინალთა მიერ ჩადენილია ათასი დანაშაული, ხოლო 14-15 წლის არასრულწლოვანთა მიერ მხოლოდ 450. ყველაზე ხშირად არასრულწლოვანებს იჭერენ ქურდობისა და ქურდების ძარცვისთვის.

ბოლო ნახევარ წელიწადში მოსკოვში პატარა კრიმინალებმა ჩაიდინეს 500 ქურდობა, 350 ძარცვა, 127 თავდასხმა. უმეტეს შემთხვევაში, არასრულწლოვანები ქურდობენ ან იტაცებენ მობილურ ტელეფონებს, რომლებსაც ყიდიან და ფულს სათამაშო ავტომატებით სათამაშოდ იყენებენ.

რეპკინის განცხადებით, დანაშაულს ყველაზე ხშირად გოგონები ჩადიან. ნახევარი წლის მანძილზე მათ ჩაიდინეს 200-ზე მეტი დანაშაული. არასრულწლოვანი გოგონების საყვარელი გატაცებაა კოსმეტიკური საშუალებებისა და ტანსაცმლის ქურდობა.

სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს არასრულწლოვანებმა ჩაიდინეს 154 ათასი დანაშაული, მათ შორის, ათასზე მეტი მკვლელობა, 3 ათასი ყაჩაღური თავდასხმა და 18 ათასი ქურდობა.

ბავშვთა ფსიქოლოგიის სპეციალისტები არასრულწლოვანთა ამგვარ სისასტიკეს ღრმა სოციალური ფაქტორებით ხსნიან. მათი განცხადებით, ახალ თაობას ღირებულებების ორიენტაციის სერიოზული პრობლემები აქვს.

"თანამედროვე ბავშვები შეიცვალნენ და მათი სისასტიკის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ ატმოსფეროში, სადაც იზრდებიან და ცხოვრობენ," - აცხადებენ ფსიქოლოგები.

სამართალდამცველთა განცხადებით, არასრულწლოვანის მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ბოლო შოკისმომგვრელი დანაშაული 2006 წლის 8 აგვისტოს მოხდა. ალტაის მხარეში, სოფელ ტუეკტაში 16 წლის არასრულწლოვანმა მოკლა ომსკის ჟურნალის მთავარი რედაქტორი ალექსანდრ პეტროვი, მისი ცოლი და ორი ბავშვი, იმის გამო, რომ პეტროვის უცხოური მანქანით გასეირნება უნდოდა.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისთვის 19 მაისს სასამართლომ ოთხ არასრულწლოვანს ექვსიდან ათ წლამდე პატიმრობა მიუსაჯა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ქურდობისთვის, ძარცვისა და გაუპატიურებისათვის. მანამდე ოთხ არასრულწლოვანს უკვე ჩადენილი ჰქონდათ 10 განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული.

რამდენიმე დღის წინ ძალაში შევიდა მოსკოვის სასამართლოს განაჩენი. საქმე ისაა, რომ არასრულწლოვანთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში გოგოც შედიოდა, თანატოლი სასტიკად დასაჯეს - მთელი ღამე აწამებდნენ, მანამდე, სანამ მსხვერპლი არ გარდაიცვალა. რუსი სამართალდამცველები არსებული სტატისტიკის გამო შეშფოთებული არიან, უფრო ზუსტად, იმის გამო, რომ კატასტროფულად იზრდება არასრულწლოვან დამნაშავეთა რიცხვი, რომელთა შორის კრიმინალი გოგონები ლიდერობენ. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მოსკოვის მილიციამ მიიღო გადაწყვეტილება, არასრულწლოვანთა საქმეებზე კვალიფიცირებული უბნის ინსპექტორის ინსტიტუტის გაძლიერების თაობაზე.

### რუსეთში დამნაშავეთა ეროვნების მოხსენიება შესაძლოა აიკრძალოს

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საზოგადოებრივი ორგანიზაცია "მედიაკავშირის" ვიცე-პრეზიდენტი, ელენა ზელინსკაია აკრიტიკებს ზოგიერთი პარლამენტარის ინიციატივას, რომელიც პრესაში დამნაშავეთა ეროვნების მოხსენიების აკრძალვას ეხება. ზელინსკაიას თქმით, თუ ასე გაგრძელდება, სულ მალე, გენდერული დისკრიმინაციის მომიზეზებით, დამნაშავეთა სქესის მინიშნებაც აიკრძალება.

"მედიაკავშირის" ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, კანონი "მასობრივი ინფორმაციის შესახებ" და სისხლის სამართლის კოდექსი ცილისწამებისა და ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებისათვის ჟურნალისტს პასუხისმგებლობას ისედაც აკისრებს. დამნაშავე კი, მისი თქმით, აფრიკაშიც დამნაშავეა.

სააგენტო "აფსნი ჯე"-ს კომენტარის თანახმად, ეროვნების მიხედვით დამნაშავეთა დაყოფა, ახალი უფრო მძიმე დანაშაულის საბაბი ხდება. ბოლო პერიოდში რუსეთში სწორედ ეროვნულ ნიადაგზე მომხდარი დანაშაულის რიცხვმა იმატა - თავგადაპარსული ახალგაზრდები, "რუსეთის გაწმენდის მიზნით", ჯგუფურად ესხმებიან თავს სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, მსგავსი თავდასხმების უმრავლესობა მსხვერპლით მთავრდება. შეგახსენებთ, რომ "ედინაია როსსიას" რამდენიმე წევრი ეროვნებათაშორის ურთიერთობებთან დაკავშირებით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა. კერძოდ, ისინი პრესაში ეჭვმიტანილებისა და დამნაშავეების რელიგიური და ეროვნული კუთვნილების მოხსენების აკრძალვას მოითხოვენ.

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ხელისუფლება და ოპოზიცია რუსეთმა შეარიგა

პირველი გვერდიდან

შემავალი პოლიტიკური პარტიების პოზიციას განმარტავს "დემფრონტის" თავმჯდომარის მოადგილე დავით ზურაბიშვილი, რომელიც იქვე დანანებით იმასაც დასძენს, რომ რუსეთი დღესაც იმ სტერეოტიპების ქვეშ არის მოქცეული, რომელიც მას 15 წლის წინათ ჰქონდა.

ოპოზიციონერი ფრაქციის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში განსაკუთრებით არის ხაზგასმული ის, რომ **"ნებისმიერი სახის ძირგამომთხრელი და ჯაშუშური საქმიანობა აღკვეთილი იქნება ყოველთვის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ქვეყნის სათავეში".**

"დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები უპასუხოდ არ ტოვებენ რუსი პოლიტიკოსების მოწოდებას იმის შესახებ, რომ ქართველებმა რეგიონის რუკას კარგად უნდა შეხედონ და მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე.

**"ქართველმა პოლიტიკოსებმა ზედმიწევით კარგად იციან, სად იწყება და სად მთავრდება საქართველო. მათ ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის, რასაც ვერ ვიტყვით რუს პოლიტიკოსებზე, რომლებიც საქართველოში ისე აფათურებენ ხელებს და ისე ცდილობენ მისი ცალკეული ნაწილების ანექსიას, თითქოს ეს მათი ტერიტორია იყოს,"** - აცხადებს ზურაბიშვილის თანაფრაქციელი ივლიანე ხაინდრავა.

იგი რუსეთის მიერ თავისი მოქალაქეების საქართველოდან ევაკუაციას "თვალთმაქცობას და ფარისევლობას" უწოდებს, რადგან რუს სამოქალაქო პირებს საქართველოში არასდროს შექმნიათ საფრთხე, განსხვავებით რუსეთისგან, სადაც დღე ისე არ ჩაივლის, რომ თვალის ფერის, ცხვირის ფორმის ან სახის მოყვანილობის გამო, ვიღაც არ მოკლან, იქნება ის კავკასიელი, აზიელი, აფრიკელი თუ ლათინოამერიკელი.

ივლიანე ხაინდრავას აუცილებლად მიაჩნია, საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინოს უტყუარი საბუთები იმის შესახებ, რომ დაკავებული რუსი ოფიცრები ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ.

**"ამის გაკეთება მაინცადამაინც რთული არ უნდა იყოს, რადგან რუსეთს ოფიციალურადაც კი არ უარუყვია ის ფაქტი, რომ დაკავებულები რუსეთის შეიარაღებული ძალების სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები იყვნენ,"** - მიაჩნია ივლიანე ხინდრავას, რომელიც რუსულ მხარეს იმასაც შეახსენებს, რომ დაკავებულები დიპლომატები არ არიან და შესაბამისად, მათ დიპლომატიური იმუნიტეტი არ იცავთ.

დეპუტატის თქმით, რუსეთმა არ უნდა დაუშვას თავის ტერიტორიაზე ექსცესები იმ ქართველების მიმართ, რომლებიც რუსეთში საქმიანობენ და თუ ასეთი ფაქტები მოხდება, ეს რუსეთის ხელისუფლების წაქეზების შედეგი იქნება.

ივლიანე ხაინდრავას თანაგუნდელი გია თორთლაძე, თავის მხრივ, იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ არც ერთი რუსი პოლიტიკოსი და მაღალი თანამდებობის პირი არ დაინტერესებულა, თუ რატომ არიან რუსი ოფიცრები დაკავებულნი.

**"რუსები უპირობოდ ითხოვენ თანამემამულეების გათავისუფლებას და საერთოდ არ აინტერესებთ ის გარემოებები, რისთვისაც ისინი დააკავეს,"** - აღნიშნავს თორთლაძე.

ერთი სიტყვით, ვიდრე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები დაძაბულია, ხელისუფლებას ოპოზიციის მხრიდან "საფრთხე" არ ემუქრება.

# რუსეთი ჯაშუშების ჩავარდნას ვერ ინელებს

პირველი გვერდიდან

**"საქართველომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ომით მოგვარების გზა აირჩია,"** - ამტკიცებდა ნატო-ს გენერალურ მდივანთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, რომელსაც არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 90 პროცენტი რუსეთის მოქალაქეს წარმოადგენს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ნატო-ს გენმდივნის შეფასება გაცილებით გაწონასწორებული იყო.

**"საქართველოსა და რუსეთს თავშეკავებისა და დეესკალაციისკენ მოვუწოდებ. ნატო-ს არ შეუძლია, ამ ორ ქვეყანაზე უშუალო გავლენა მოახდინოს. ჩემი მოწოდების გარდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სიტუაციაში სხვა ფორმით, პირდაპირ ვერ ჩაერევა,"** - განაცხადა იაპ დე ჰუპ სხეფერმა.

მის მსგავსად, შემრიგებლური პოზიცია დაიკავა საქართველოში აშშ-ს საელჩომაც, რომელმაც მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა.

**"იმედს გამოვთქვამთ, რომ რუსეთისა და საქართველოს მთავრობები შეძლებენ ამგვარი საკითხების განხილვას და გადაჭრას ერთობლივი ძალისხმევისა და ურთიერთპატივისცემის ჭრილში,"** - ნათქვამია აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

თუმცა, მხარეთა შორის "ურთიერთპატივისცემამდე" და ურთიერთგაგებამდე რომ ჯერ კიდევ შორია, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მოსკოვში ჩაიშალა გუშინდელი დღისთვის დაგეგმილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიორგი მანჯგალაძის შეხვედრა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან, რომლის დროსაც მხარეებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აქტუალური საკითხები უნდა განეხილათ. ამ შეხვედრის დროს გათვალისწინებული იყო აგრეთვე რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების დაკავებასთან დაკავშირებით უკანასკნელ დღეებში განვითარებულ მოვლენებზე მსჯელობაც.

საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოსთვის სახელის გატეხვის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება თბილისიდან თავისი თანამოქალაქეების ევაკუაციის შესახებ. გუშინ რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ორი თვითმფრინავით საქართველო რუსეთის 100-ზე მეტმა მოქალაქემ დატოვა. მათ შორის იყო საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ვიაჩესლავ კოვალენკო, რომელიც მოსკოვში კონსულტაციებისთვის გამოიძახეს. სამშობლოში გამგზავრების წინ კოვალენკომ განაცხადა, რომ თბილისში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ საქართველოს ხელისუფლება ჯაშუშობაში ბრალდებულ რუს სამხედროებს გაათავისუფლებს.

**"საქართველოდან განუსაზღვრელი დროით მიემგზავრება საელჩოს 100-ზე მეტი თანამშრომელი. მე კი კონსულტაციებზე მივდივარ, რათა ჩემი ქვეყნის ხელისუფლება საქართველოში შექმნილი მდგომარეობის კურსში ჩავაყენო. ვშიშობ, რომ რუსეთის მოქალაქეების მიმართ ქართველების მოპყრობა სცილდება ნორმის ფარგლებს და საშიშროების ქვეშ ექცევა რუსეთის ყველა მოქალაქე, რომლებსაც ნებისმიერ დროს ემუქრებათ თავდასხმა,"** - აღნიშნა კოვალენკომ, რომელიც რუსი ოფიცრების დაკავების ფაქტს "საქართველოს ხელისუფლების მიერ დადგმულ შოუს" უწოდებს.

ანტიქართულ გამოსვლებში გუშინ რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონების წარმომადგენლებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პირველი ვიცე-სპიკერის ლუბოვ სლისკას განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა ის ზღვარი გადალახა, რომლის "გადაბიჯებაც არ შეიძლებოდა".

**"ყველა ეს ქმედება, ჯერ ოპოზიციის დაპატიმრებები, შემდეგ რუსი სამხედროების დაკავება და მათი შპიონაჟში დადანაშაულება - ველურობაა, რომელიც მიუღებელია ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის,"** - აღნიშნა დეპუტატმა.

რუსი ოფიცრების დაკავების შესახებ კომენტარს პრეზიდენტ პუტინის მრჩეველი კავკასიის საკითხებში მოდესტ კოლეროვიც აკეთებს, რომელიც მომხდარს "საქართველოს ხელისუფლების მიერ გათამაშებულ ფარსად" აფასებს.

კოლეროვი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაკავებული რუსი სამხედროები ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა გაათავისუფლოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განისაზღვროს, იყვნენ თუ არა ისინი დამნაშავეები.

**"მე არ ვიცი, რა დავალება აქვს მიღებული იმ ხალხს, ვინც ეს დაჭერები განახორციელა. თუ მათ დავალებული აქვთ ვითარების ესკალაცია, მაშინ ქართული მხარე დათმობაზე არ წავა, თუ არა, მაშინ მოლაპარაკება შესაძლებელია,"** - აღნიშნავს პუტინის მრჩეველი.

რუს პოლიტიკოსებზე არანაკლებ არის გაღიზიანებული რუსეთის მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი.

**"ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, დადგმული ფარსია, რომელიც არ შეიძლება, აშშ-სთან არ იყოს შეთანხმებული,"** - აცხადებს ჟურნალისტი მიხეილ ლეონტიევი. იგი გაოცებულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ქმედებებით, კერძოდ კი იმით, რომ ეს უწყება, კონკრეტული ზომების მიღების ნაცვლად, "ნატო-სა და გაერო-ში ჩივის".

რუსეთში გამეფებული ანტიქართული ისტერიის "სიკეთე" გუშინ მოსკოვში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა თავის თავზე იწვნიეს: "ევრაზიის ახალგაზრდული კავშირის" აქტივისტებმა მოსკოვში საელჩოს შენობის მინები ჩაამსხვრიეს და ღორის თავი ესროლეს. საქართველოს საელჩოს შენობა დაცვის საგანგებო რეჟიმზეა გადასული. "მალი რჟევსკის" შესახვევში, სადაც საელჩო მდებარეობს, ტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა, ქუჩა კი რკინის კორდონებით გადაიკეტა.

საქართველოს საელჩოსთან 50 მილიციელი და სპეცდანიშნულების რაზმი მორიგეობს. მოსკოვის მილიციის თანამშრომლები რუსეთის დედაქალაქში მცხოვრებ კავკასიური დიასპორის წარმომადგენლებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ. მათი ვარაუდით, უახლოეს დღეებში კავკასიელები, შესაძლოა, ნაციონალისტებისა და ხულიგნების აგრესიის სამიზნედ იქცნენ.

# რუსეთი საქართველოს შეშინებას ცდილობს

პირველი გვერდიდან

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში რუსეთი შავ ზღვაში მასშტაბური მანევრების ჩატარებას გეგმავს. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთში დისლოცირებული 58-ე არმიის მობილიზება და საქართველოს საზღვრის მიმართულებით მისი გადმოწევა ხდება. **"საეჭვო მანევრები შეინიშნება ახალქალაქში დისლოცირებულ სამხედრო ბაზებზეც. პირადად ჩემთვის გაუგებარია რუსეთის ასეთი მოქმედება. ჩვენ კონკრეტულად ვადასტურებთ, რომ მათი ოფიცრები ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით მოქმედებდნენ,"** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის შეფასებით, საერთაშორისო პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც ერთი ქვეყანა მეორის აგენტების ჯგუფს აკავებს და ნაცვლად იმისა, რომ ამ აგენტების სამშობლომ მათი საქმიანობის შესახებ მტკიცებულებები მოითხოვოს, დამკავებელი მხარის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს.

დეპუტატის განცხადებით, როდესაც რუსი აგენტები დიდ ბრიტანეთში დააკავეს, რუსეთის პოზიცია აბსოლუტურად განსხვავებული იყო იმ პროცესებისგან, რომელიც საქართველო-რუსეთს შორის ამ ეტაპზე ვითარდება. **"რუსეთი საქართველოს არაცივილური და შანტაჟის ენით ელაპარაკება. მსგავსი ტონით საუბარს საქართველოს ხელისუფლება არავის აპატიებს. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც შემჩნეული იქნება სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებაში, საერთაშორისო სამართლის ნორმით და ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით დაისჯება,"** - აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

საპარლამენტო ოპოზიცია, საქართველოს სპეცსამსახურების მუშაობას დადებითად აფასებს და ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედებების გაჩაღებას გამორიცხავს. **"საქართველოში განხორციელებული სპეცოპერაცია, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დიდი სადაზვერვო ქსელი გამოამჟღავნა, "გრუ"-ს და "ფეესბე"-ს ძალიან დიდი წარუმატებლობაა და საკმაოდ მტკივნეული სილაა რუსეთის ნაქები სპეცსამსახურებისთვის,"** - აღნიშნა " მრეწველთა " პარტიის ერთ-ერთმა ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილმა.

" მრეწველთა" შეფასებით, მოსალოდნელია რუსეთმა ააგოროს დიდი პიარ-კამპანია იმის საჩვენებლად, რომ საქართველოში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. საომარი რიტორიკით როგორმე დაჩრდილოს სილის გაწვნის შემდეგ მიღებული ტკივილი. **"არავითარი საომარი მოქმედებები რუსეთსა და საქართველოს შორის არ გაჩაღდება. ეს ზოგიერთი რუსი მინისტრის ბოდვითი თეორიაა. უნდა იცოდენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი მტრული ქმედება აღკვეთილი იქნება,"** - აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

"მრეწველები" ხელისუფლებას ურჩევენ, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს რუსი ჯაშუშების საქართველოდან ექსტრადირება.

"მრეწველების" მსგავსად, ფრაქცია ახალი "მემარჯვენეები" საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ომის საომარ მოქმედებებში გადაზრდას გამორიცხავს. მემარჯვენე ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ საქართველოში რუსეთის აგენტურული ქსელი მართლაც მოქმედებს. **"აგენტების დაკავების გამო ქვეყნები ერთმანეთს ომს არ უცხადებენ. ხელისუფლება ვალდებულია, დეტალურად გამოაქვეყნოს ის მტკიცებულებები, რომლებიც დაკავებული ოფიცრების ბრალეულობას ადასტურებს. ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ და აუცილებლად უნდა მოხდეს აგენტების ნეიტრალიზება. იმედი მაქვს, რომ თვითმიზნური გართულება არ მოხდება და მართლაც რეალურ აგენტურულ ქსელთან გვაქვს საქმე,"** - აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

## მოკლედ

### კოკოითი რუს სამშვიდობოებს ვერ ელევა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის წინააღმდეგია.

კოკოითი მიიჩნევს, რომ რუსი სამშვიდობოები "ძალიან პროფესიონალურად" მოქმედებენ. ამიტომაც მათ კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებამდე არც აფხაზეთის და არც სამხრეთ ოსეთის ტერიტორია არ უნდა დატოვონ.

ოსი სეპარატისტთა ლიდერს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციის იმედი არ აქვს. "ჩვენ ყველა პრობლემას დიდი ხნის წინ მოვაგვარებდით, ჩვენი რესპუბლიკებიც დიდი ხნის წინ იქნებოდა აღიარებული, რომ არა საერთაშორისო საზოგადოების ორმაგი სტანდარტები", - აღნიშნა მან.

მისივე თქმით, პოსტსაბჭოურ სივრცეში კონფლიქტების მოგვარების საქმეში კოსოვოს მაგალითი საორიენტაციოდ ვერ გამოდგება. "ჩვენ უფრო მეტი პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ გვაღიარონ", - განაცხადა ედუარდ კოკოითმა.

მის მოსაზრებას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაშფიც იზიარებს და აცხადებს, რომ მათ "მესამე ქვეყნის" გამოცდილება არ სჭირდებათ. "ჩვენ გვაქვს რუსული გამოცდილება, როცა ხალხს არც სცემენ და არც კლავენ", - თქვა სერგეი ბაღაფშმა. **მედიანიუსი**

### დამკვირვებელთა სრული სიის წარდგენის ვადა 30 სექტემბერს იწურება

ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს დამკვირვებელთა სრული სიის ცესკოში წარდგენის ვადა ხვალ, 30 სექტემბერს, ეწურებათ.

როგორც "მედიანიუსს" ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უთხრეს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებზე დამკვირვებლად სულ რვა ადგილობრივი ორგანიზაციაა რეგისტრირებული. ესენი არიან: "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ახალგაზრდული კავშირი "ინიციატივა", "სტუდენტობა ნატოსათვის", "საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო", "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", "საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი", "ახალგაზრდულ ინიციატივათა მხარდაჭერის ცენტრი" და კავშირი "რაციო ლეგის".

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, ერთ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა. **მედიანიუსი**

### ვალერი ჩეჩელაშვილმა არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი მიიღო

გუშინ, საქართველოს საქმეთა სამინისტროში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვალერი ჩეჩელაშვილის შეხვედრა ეუთო/დიაუბის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან გეერტ არენსა და ეუთო/დიაუბის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ჰერალდ ეფსენთან.

შეხვედრაზე განიხილეს 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს- საკრებულოს წინასაარჩევნო კამპანიასა და პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ კვლავ გააგრძელებენ კონსულტაციებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. **მედიანიუსი**

### არჩევნებს ათზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია დააკვირდება

საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს დამკვირვებელთა სრული სიის ცესკოში წარდგენის ვადა 3 ოქტომბერს ეწურებათ.

როგორც "მედიანიუსს" ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უთხრეს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებზე დამკვირვებლად 13 საერთაშორისო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. ეს ორგანიზაციებია: "ეუთოს შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია", "აშშ-ის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი", "აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი", "ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი", "ინთერნეიშენელ ქრაისის გრუფ"-ი, "ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი", რუმინეთის, ლიტვის, საბერძნეთის, აზერბაიჯანის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოები.

უკანასკნელი მონაცემებით, ამ ორგანიზაციებმა ცესკოში სულ 96 დამკვირვებლის სია წარადგინეს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არჩევნებს ორი წარმომადგენლის მეშვეობით აკვირდება. **მედიანიუსი**


გიწვევთ ლექციაზე:

როგორ დავამარცხოთ შიში




საერთაშორისო ლექტორი მერი ჰელმი მოგვითხრობს, თუ როგორ შეგვიძლია, გავთავისუფლდეთ შიშისგან და მივაღწიოთ სულიერ სიმშვიდეს ცხოვრების მეტაფიზიკური აღქმის მეშვეობით.

იდეები, რომლებსაც ლექტორი გაგვიზიარებს, დაფუძნებულია ბიბლიასა და მერი ბეკერ ედის მსოფლიოში ცნობილ წიგნზე „მეცნიერება და ჯანმრთელობა საღვთო წერილის გასაღებით." *

ლექცია წაიკითხება რუსულ და ინგლისურ ენებზე

*ლექტორი:* მერი ჰელმი, ქრისტიანული მეცნიერების ლექტორთა საბჭოს წევრი, ბოსტონი, აშშ.

*მისამართი:* ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. № 36 (შესასვლელი თაღში და პირველი კარი მარჯვნივ).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
93 32 73, 893 365 026 ან 893 302 555

*ლექცია ჩატარდება: 1 ოქტომბერს 16.00 (რუსულ ენაზე)*
*2 ოქტომბერს 18.30(ინგლისურ ენაზე)*

დასწრება უფასოა

*მსურველებს შეეძლებათ წიგნის შეძენა


# "სახალხო დაზღვევა" და "სახალხო ფოსტა"




პირველი გვერდიდან

**"კომპანია ბაზარზე, ფაქტობრივად, ორი ძირითადი პროექტით შევიდა. ესენია: ჯანმრთელობის დაზღვევა და უცხოეთში წამსვლელ ტურისტთა სამოგზაურო დაზღვევა. "სახალხო დაზღვევის" მომსახურებით წელიწადში 70 000 კლიენტი სარგებლობს. ერთი წლის შემდეგ კი მათი რაოდენობა 400 000-ს მიაღწევს..."** - იმედოვნებს ეკატერინე იაშვილი და იქვე აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში მომხმარებელს ქონების, ავტომანქანების, ტვირთებისა და სიცოცხლის დაზღვევასაც შესთავაზებენ. **"ჩვენი კომპანია მომსახურების დაბალი ტარიფებით გამოირჩევა, რადგან იგი "სახალხო ბანკის" კლიენტურაზეა ორიენტირებული,"** - დასძინა "სახალხო დაზღვევის" გენერალურმა დირექტორმა. ცნობისათვის, "სახალხო დაზღვევა" სადაზღვევო კომპანია PIC-ის ბაზაზე დაფუძნდა, რომლის მფლობელი 2005 წლიდან სს "სახალხო ბანკია".

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე მიიჩნევს, რომ "სახალხო დაზღვევას" სადაზღვევო ბაზარზე წარმატების დიდი პოტენციალი გააჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკს ფართო ქსელი აქვს - 180-ზე მეტი ფილიალი და 100-ზე მეტი ბანკომატი. **"ახალი პროდუქტი მომხმარებლისთვის ქვეყნის ყველა წერტილში იქნება ხელმისაწვდომი. ხელმისაწვდომობას ოპტიმალური ფასები და პროდუქტის მრავალფეროვნებაც განაპირობებს,"** - აცხადებდა "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე, რომელიც სპეციალურად "სახალხო ფოსტის" თანამშრომლებისთვის შექმნილი უნიფორმების ჩვენებით დასრულდა.

*24 საათი*

# ჩვენებურების ფოტოისტორია

## ქარვასლაში უნიკალური ფოტოგამოფენა გაიხსნა



*ინგილოები*

ია ვეკუა

საერთაშორის ფესტივალი "ჩვენებურები" იმ ფოტოგამოფენით გაიხსნა, რომელიც ყველაზე ნათლად ასახავს ქართველი ემიგრანტების ცხოვრებასა და ყოფას სამშობლოსგან მოშორებულ მიწაზე. თბილისის ისტორიის მუზეუმში მეოცე საუკუნის დასაწყისში გადაღებული ფოტონამუშევრების გმირები ფერეიდნელი და საინგილოს ქართველები არიან.

ეს ფოტოგამოფენა საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული კადრებით შეივსო. გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოების მეშვეობით ჩვენ არა მხოლოდ იმას ვიგებთ, როგორ გამოიყურებოდნენ სამშობლოსგან მოწყვეტილი ადამიანები, არამედ იმასაც, როგორ ყოფაში ცხოვრობდნენ, როგორ სახლებში ცხოვრობდნენ და რა ემოსათ.

გამოფენაზე რამდენიმე უნიკალური ფოტოცაა. 1909-1915 წლებში საქართველოში ცნობილი რუსი ფოტოხელოვანი და გამომგონებელი სერგეი პროკუდინ-გორსკი მოგზაურობდა. მან თითქმის მთელი საქართველო მოიარა და უამრავი ფოტო გადაიღო. მისი ნამუშევრები კი იმ მხრივაა უნიკალური, რომ ფოტოებია ფერადია. პროკუდინ-გორსკი ასეთ შედეგს მის მიერ გამოგონილი აპარატურით აღწევდა, რომელიც ფერად გამოსახურებას სამი ფერის შერწყმით ქმნიდა. ამრიგად, ჩვენ თვალნათლივ შეგვიძლია ვნახოთ, როგორ გამოიყურებოდა ართვინი, ან რა ფერის სამოსი ეცვათ ართვინელ მოლასა და მის შვილებს.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია ფოტოები ექვთიმე თაყაიშვილის ფონდიდან: 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ოშკში ექსპედიციისას გადაღებულ მუშა, პარხლის ხეობის წყარო და ხიდი სოფელ ნისგოვანსა და ხევეკს შორის, ოშკის მოლა და მამასახლისი...

საყურადღებოა ნიკო მარის მიერ 1910 წელს გადაღებული ფერეიდნელები. ასევე 1921 წელს ბათუმში ჩატარებული აჭარელი ხოჯების პირველი ყრილობის მონაწილენი. ფოტოს უკანა პლანზე კი კარლ მარქსის პორტრეტი და ნამგალისა და უროს ასე ნაცნობი კომპოზიცია მოჩანს. გამოფენის გახსნას კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაესწრო. ფესტივალი "ჩვენებურები" სწორედ მისი ლოცვა-კურთხევით ტარდება. აქვე იყვნენ ფესტივალის სტუმრები, ირანიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული დელეგაციების წევრები.

ფესტივალი "ჩვენებურები" დღეს ვაკის პარკში ჩატარებული კონცერტით ოფიციალურად გაიხსნება. მასში უამრავი მომღერალი და მოცეკვავე მონაწილეობს. მომდევნი დღეს ფესტივალი რუსთავში გადაინაცვლებს. ხოლო 3 ოქტომბერს "ჩვენებურები" ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი კონცერტით დაიხურება.

# ჰიტლერის მაგიდა 1 მილიონ დოლარად



ადოლფ ჰიტლერის 1930 წლის მიუნჰენის აპარტამენტის საწერი მაგიდა და სკამი შეიძლება 1 მილიონ დოლარად გაიყიდოს. ლონდონის ანტიკვარიატის გამყიდველის მინას კატჩადორიანის ცნობით, მუხისგან დამზადებული ავეჯის ელემენტები გაყიდულ იქნა აშშ-ს ხელისუფლების მიერ, რომელიც ამერიკელმა ანონიმურმა კოლექციონერმა იყიდა. ავეჯი 1938 წელს ჰიტლერის აპარტამენტში იმყოფებოდა, როდესაც მან და ბრიტანეთის პრემიერმა ნევილ ჩემბერლენმა საერთო დეკლარაციას მოაწერეს ხელი. მაგიდა და სკამი, რომლის მიმართ უდიდესი ინტერესი უკვე გამოიჩინეს კოლექციონერებმა, გაყიდული იქნება კერძო მეთოდით. კატჩადორიანის სიტყვებით, მოსალოდნელია, რომ ფასი 1 მილიონ დოლარს აღემატოს.

"ნაკლებად არის ცნობილი, როგორ მოხვდა ეს ნივთები აშშ-ში, თუმცა ცნობილია, რომ 1970 წლებამდე ამერიკის ხელისუფლება ომისდროინდელი ხელოვნების ნიმუშების აუქციონს აწყობდა. შესაძლოა, რომ ზუსტად ამ დროს იქნა ავეჯი პირად საკუთრებაში გაიყიდული", ამბობს კატჩადორიანი.

1929 წლის ნოემბერში, როდესაც ჰიტლერი თავის პოლიტიკურ კარიერას იწყებდა, მას გადასცეს პირადი ავეჯი მიუნჰენის რეზიდენციისათვის. კომპლექტი, რომელიც შეიცავდა საწერ მაგიდას, სკამებსა და წიგნის თაროებს, დამზადებული იყო ყოფილი ბავარიული სამეფოს ავეჯის მწარმოებლის მიერ. მაგიდის შიდა მხარეს მოთავსებულია ჩაშენებული კარადები, ხოლო მარცხენა მხარეს - მიმაგრებული რკინის ღუმელი - შესაძლოა სეიფისთვის. ლონდონელი ანტიკვარი თვლის, რომ იგი შეიძლება მოხვდეს მუზეუმში ან უნივერსიტეტის კოლექციაში.

# დასაწყისიდან დასასრულამდე

## ძველი და ახალი თაობა 300-საათიან პროგრამაში და 20 ათასამდე ფოტოში

მზევინარ ხუციშვილი

2005 წლის 30 სექტემბერს გაიხსნა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებით ნაციონალური პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა. მისი მიზანი კი ქართული და საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა თუ ჟანრების ნიმუშთა მოძიება-გამომზეურება, აგრეთვე დღეს არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათის წარმოჩენა და მათი არქივიზაცია გახლდათ.

ერთი წლის განმავლობაში ფესტივალმა მთელი საქართველო მოიცვა. მასში ჩვენი ქვეყნის ყველა ანსამბლმა თუ თვითმოქმედმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. იყვნენ ისეთებიც, ვინც სცენაზე პირველად გამოვიდა. ანსამბლები, რომელთა არსებობაც უკვე აღარ ახსოვდათ. ხალხური ცეკვისა და სიმღერის გარდა, კონკურსი მიმდინარეობდა ზეპირსიტყვიერებაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. მონაწილეობა მიიღო 20 ათასამდე ადამიანმა, რომელთაც მოეთხოვებოდათ ფოლკლორის სიწმინდის დაცვა, თავისი კუთხის ტრადიციების მოძიება და გაცოცხლება, ხალხური საშემსრულებლო მანერისა და სტილის შენარჩუნება. მათ კომპეტენტური ჟიური აფასებდა. თითქმის ყველა რეგიონში შეირჩა ფესტივალის ლაურეატები.



ფესტივალს ხელმძღვანელობდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და მისი დირექტორი გიორგი უშიკიშვილი. საინტერესოა, რომ მთელი წლის განმავლობაში მოძიებულ იქნა ფესტივალის 300-საათიანი პროგრამა და 20 ათასამდე ფოტო. ფესტივალის გენერალური სპონსორია სამშენებლო კომპანია "ცენტრ პოინტ ჯგუფი", ორგანიზატორები კი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა მორიგი პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე პაპუნა დავითაია და "ცენტრ პოინტ ჯგუფის" წარმომადგენელი ქალბატონი თინათინ რუხაძე ესწრებოდნენ.

**თინათინ რუხაძე:** "ქვეყნის მშენებლობისთვის აუცილებელია ყველაფერი განვითარდეს, განსაკუთრებით კი ფოლკლორი. ჩვენს კომპანიას კარგად ესმის ფოლკლორის ღირებულებები. ამიტომ არაერთ ანსამბლს ვეხმარებით, რაც მომავალშიც გაგრძელდება".

**პაპუნა დავითაია:** "წელს ფოლკლორისთვის ბევრი რამ გაკეთდა: შეიკერა ფორმები, რომლებიც უკვე დაურიგდათ ანსამბლებს, შეიქმნა ლოტბართა პროგრამა, ჩატარდა მრავალხმიანობის სიმპოზიუმი და, რა თქმა უნდა, ეს ფესტივალი. ეს დიდი მიღწევებია, მაგრამ ამაზე არ შევჩერდებით. მომავალში კიდევ უფრო მეტი ღონისძიების განხორციელებას ვაპირებთ".

**გიორგი უშიკიშვილი:** "შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მიზანს მივაღწიეთ. 2006 წელს ანგარიშს სრულყოფილად ვაბარებთ. უნდა ვაღიარო, რომ 25 წლის შემდეგ ასეთი ფესტივალი პირველად განხორციელდა და ამავე დროს ანშლაგით ჩატარდა. მოგეხსენებათ, ფესტივალი სამ წელიწადში ერთხელ იმართება და 2008 წლიდან თავიდან შევუდგებით მის განხორციელებას. 2007 წლიდან კი იწყება ლაურეატთა წახალისების პროგრამა, გამოიცემა CD და DVD დისკები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ლაურეატთა კატალოგები, მოეწყობა გამოფენები, გამოიცემა სახალხო მთქმელების წიგნები - ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიები. შემოსული თანხა მოხმარდებათ ლაურეატებს".

დათვალიერება-ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალი დღეს დაიწყება. დღესვე პირველი ღონისძიება გაიმართება ბერძენიშვილების სახელობის კულტურის ცენტრში "მუზა", სადაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ლაურეატთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნება. ცერემონიალი რუსთაველის თეატრში გადაინაცვლებს, სადაც ჩატარდება ზეპირსიტყვიერების საღამო, რომელსაც პოეტი ეთერ თათარაიძე წარუძღვება.

1 ოქტომბერს ღია ცის ქვეშ 9 აპრილის ბაღში (ქაშუეთის ეკლესიის უკან) ხალხური სანახაობები და ბავშვებისთვის თამაშობები გაიმართება. ამავე დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მუსიკისა და ქორეოგრაფიის ლაურეატთა დაჯილდოების პირველი ნაწილი გაიმართება.

2 ოქტომბერს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მუსიკისა და ქორეოგრაფიის ლაურეატთა დაჯილდოების მეორე ნაწილით ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი საზეიმოდ დაიხურება. დასკვნით ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს 1500-მდე ლაურეატი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ფესტივალის დახურვის სპონსორია "პროკრედიტ ბანკი".

# ჩინური კულტურა "ქარვასლაში"

მზევინარ ხუციშვილი

საქართველო ეთნიკურად ყოველთვის მრავალფეროვანი ქვეყანა იყო, თუმცა დღეს ალბათ ვერავინ იტყვის, საქართველოში ჩინელი უფრო მეტი ცხოვრობს თუ ქართველი, რადგან თითქმის მთელი საქართველო ჩინურმა პროდუქციამ მოიცვა. თუმცა ალბათ სტატისტიკას იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც იმას, თუ ვინ რას სთავაზობს ქართველ საზოგადოებას. ჩინურ მაღაზიაში შესული ბევრი ქართველი მინახავს, მაგრამ გუშინ "ქარვასლაში" ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ამჯერად ისინი მუზეუმშიც შეგიძლიათ იხილოთ, რადგან ერთ-ერთ დარბაზში ჩინური ფაიფური და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამსახველი ფოტომასალა გამოიფინა, რომლის ორგანიზატორები არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი და ის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს მიეძღვნა.

"ქარვასლის" კურატორმა **ლიკა მამაცაშვილმა** აღნიშნა: "უკვე ორი წელია მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჩინეთის საელჩოსთან. შევთავაზეთ, რომ დაგვემყარებინა კულტურული ურთიერთობა. რადგან ჩინეთი ფაიფურის სამშობლოა, დავიწყეთ ფაიფურით. თუმცა მომავალში სხვა პროექტებსაც განვახორციელებთ. რაც შეეხება ფოტოებს, ისინი საელჩოს საკუთრებაა და ფონისთვის წამოვიღეთ. მათზე ასახულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხედები, დღესასწაულები, აგრეთვე ის, თუ როგორ მზადდება ფაიფური. ჩვენ ძალიან გვაინტერესებს ჩინეთის კულტურა და ხელს შევუწყობთ მის განვითარებას საქართველოში. ეს მხოლოდ დასაწყისია".

ჩინური ფაიფურის სამშობლოდ ჯინგდეჯენი ითვლება, რომელიც იანის დინასტიის დროს აღმოცენდა და ცნობილი იყო ლურჯ-თეთრი ფაიფურით. გამოფენაზე სწორედ ჯინგდეჯენის ფაიფურის ინსტიტუტის კოლექციაა წარმოდგენილი, რომელიც თანამედროვე ავტორების მიერაა შესრულებული. ისინი ჯინგდეჯენის ტერიტორიაზე ნაპოვნი უძველესი ფაიფურის ნიმუშების ასლებია, თუმცა, როგორც გვითხრეს, არის თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებიც.

ისტორიულად ფაიფურის ტექნოლოგიის წარმოშობა ჩინეთის უძველესი კულტურის მიღწევაა და მისი ეტაპობრივი განვითარება ჩინეთის სხვადასხვა დინასტიის პერიოდს უკავშირდება.

გამოფენაზე იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები და ელჩი მეუღლესთან ერთად. გამოფენა სწორედ მან გახსნა: "საქართველოში ეს ჩვენი პირველი გამოფენაა. ამით ორი ქვეყნის კულტურული და მეგობრული ურთიერთობა იწყება. საქართველო ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, რადგან ისევე როგორც ჩინეთს, მასაც უძველესი ისტორია და კულტურა აქვს. ძალიან ლამაზი ბუნებაა, ქართველები კი სტუმართმოყვარე ხალხია. დიდი სურვილი გვაქვს ქართველი საზოგადოება გაეცნოს ჩვენს კულტურას და შეიყვაროს იგი. ვფიქრობ, ასეც იქნება, რადგან, როგორც ვიცი, თქვენც ფლობთ კერამიკისა და ფაიფურის კულტურას. თუმცა ბევრი რამ ერთმანეთისგანაც უნდა ვისწავლოთ".

გამოფენაზე ჩინური კულტურით დაინტერესებული ბევრი ადამიანი აღმოჩნდა. ემოციებს ვერ მალავდნენ: "არაჩვეულებრივია"... "საინტერესოა"... "ძალიან ლამაზია"...

ისტორიკოსმა **ნოდარ კიკვაძემ** თავისი ცხოვრების ერთი ეპიზოდიც გაგვიმხილა: "პირველად ამ საოცრებას სტამბულში შევხვდი. წარმოიდგინეთ, რაოდენ ფანტასტიკურია, რომ ამ ადამიანებმა ეს ტრადიცია დღემდე შემოინახეს და ამავე დროს საკუთარი ხელითაც ქმნიან. არასდროს არ მეგონა, რომ ასეთ რამეს საქართველოშიც ვნახავდი. დიდი მადლობა მის ორგანიზატორებს. ჩვენ უდავოდ დიდ კულტურას გვაზიარეს".

მათ კი, ვისაც ჯერ არ უნახავს ჩინური კულტურა, ვეტყვით, რომ გამოფენა "ქარვასლაში" 26 ოქტომბრამდე გაგრძელდება.



# კომპანია "ჯეოსთილ"- ს ესაჭიროება სპეციალისტები

კომპანია "ჯეოსთილ" - ს ესაჭიროება სპეციალისტები შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. **თარჯიმან-რეფერენტი** - კადიდატი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინგლისურ და ქართულ ენებს, უნდა შეეძლოს როგორც ზეპირი ასევე ტექსტების თარგმანი. სასურველია გამოცდილება შესაბამისი სპეციალობით.
2. **მთავარი ბუღალტერი** - კანდიდატს უნდა ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება შესაბამისი სპეციალობით. ასევე უნდა იცოდეს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები. ინგლისური ენის ცოდანა აუცილებელი პირობაა.
3. **იურისტი** - კანდიდატს უნდა ჰქონდეს მუშობის გამოცდილება. ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელი პირობაა. სასურველია ჩაბარებული ჰქონდეს ადვოკატთა ტესტების გამოცდები.
4. **ინჟინერ-მშენებელი** - კანდიდატს უნდა ჰქონდეს გამოცდილება სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში. ინგლისური ენის ცოდნა სასურველია.
5. **ინჟინერ-ენერგეტიკოსი** - კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაღალი ძაბვის ქვესადგურებში მუშაობის გამცდილება. ინგლირური ენის ცოდნა სასურველია.
6. **მეტალურგი** - კანდიდატს უნდა ჰქონდეს ფოლადსადნობ ღუმელთან და საგლინავ დგანებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ინგლისური ენის ცოდნა სასურველია.

ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალობით. განაკვეთი სრული.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმეები (სასურველია ინგლისურად) და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები შემდეგ მისამართზე:

3700, ქ.რუსთავი, დავით გარეჯის 36. "ჯეოსთილი"

ყველა კანდიდატს ეცნობება გასაუბრების დრო და თარიღი.

e-mail: zchumburidze@geosteel.com.ge

# შპს " ტროლეიბუსების სამმართველო აცხადებს აუქციონს

გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს "ტროლეიბუსების სამმართველოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები:--ტროლეიბუსების წევის ქვესადგურის ელექტრო მოწყობილობები.

(დანიშნულება:-მაღალი ძაბვის დაყვანა დაბალ ძაბვამდე და გარდაქმნა მუდმივ დენად).

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბე და ბილეთების შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირისათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიული პირისათვის 50 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს"საქართველოს ბანკის" ფილიალი, ანგარიში N3609370, კოდი 220101502, საინდეფიკაციო კოდი N248387080.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი ასევე არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში. გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე,შაბათ-კვირის გარდა, 2006 წლის 5 ოქტომბრიდან 2006 წლის 3 ნოემბრამდე, 11 სთ-დან 16 სთ-მდე, მისამართზე: ხელვაჩაური,ალმაშენებლის 19, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 3 ნოემბერს 1700 საათზე.

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები**:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის-საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ:

ტელეფონი: 893 27-33-91
899 799116

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისიტრო მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო**

საჯარო სამართლის იურდიული პირი - საქართველოს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო აცხადებს კონკურს სამშენებლო სამუშაოებზე:

ა. ბაბანეურის დაცულ ტერიტორიაზე თუშეთის დაცული ტერიტორიის საზამთრო ადმინისტრაციის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა (პროექტი ფინანსდება დაცული ტერიტორიის განვითარების პროექტით);
ბ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში სატყეო დეპარტამენტის ოფისისა და ტრეინინგ ცენტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები (პროექტი ფინანსდება სატყეო სექტორის განვითარების პროექტით).

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ.6. მე-6 სართული,
ტელ:. 995 32 752436/27.
საკონტაქტო პირი: ქეთი სხირელი.
ან/და იხილონ სააგენტოს ვებ გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი.

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2006წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, 1 ერთეული ავტომობილის (უცხოური წარმოების ერთი ცალი 2006 წელს გამოშვებული ავტომობილი, მწარმოებელი ქარხნის გარანტიით, საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა, ძარა-სედანი, ბენზინის ძრავა - არანაკლებ 4-ცილინდრი, მოცულობა არანაკლებ 1,6-ლიტრი, მაღალი კლირენსი და გაძლიერებული დაკიდება გათვალისწინებული დსთ-ს ქვეყნებისთვის, 4-კარი, მექანიკური 5-სიჩქარიანი კოლოფი, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, მძღოლის სავარძელი სიმაღლის რეგულატორით, უსაფრთხოების ბალიშები, ABS, ცენტრალური საკეტი, იმობილაიზერი, კონდენციონერი, განბაჟებით და სახელმწიფო რეგისტრაციის (ნომერი) მომსახურებით) შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 23 ოქტომბრის 12:00 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2006 წლის 23 ოქტომბრის 12:00 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.

- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**- იურიდიული პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);
ბ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);
დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**- ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);
გ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);
ე) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2006 წლის 23 ოქტომბრის 1200სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 2006 წლის 23 ოქტომბრის 1200სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.

- წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულმა ხელშეკრულების გაფორმებისთვის უნდა წარმოადგინოს: მოთხოვნილი წინასწარი ანგარიშსწორების ოდენობის თანხის საბანკო გარანტია და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 3%-ის ოდენობით.

- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **28 13 69 ზაურ ჯიოშვილი**.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური (ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N46ა) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმის გოგებაშვილის ქ.N46ა მდებარე შენობა-ნაგებობის კაპიტალური შეკეთებისა და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

**3.** პირებმა განცხადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 19 ოქტომბრიდან 2006 წლის 20 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ.N46ა, მეორე სართული.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 20 ოქტომბერი

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ)

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

ვ) ცნობა სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოს შესახებ.

**5.** ქართულ ენაზე შედგენილი განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებელის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**7.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე სატენდერო დოკუმენტაციის ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2006 წლის 19 ოქტომბრიდან 2006 წლის 20 ქოტომბრის 17 საათამდე, სატენდერო მოსაკრებლი 200 (ორასი) ლარის ოდენობის ( სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის სპეციალური ანგარიშზე N 000142101, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის ბანკის კოდი: 220501102 საინ. კოდი 245564465, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. N46ა მეორე სართული.

**8** . პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - **თამარ ფუტკარაძე Tel : 7-03-93,** მისამართზე: ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. N46ა მეორე სართული.

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში "ბ" კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**ლოტი N 1 დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთი და კოტეჯი**

**ნაკვეთს** მთლიანობაში გააჩნია წახნაგოვანი ფორმა, რელიეფი უსწორმასწოროა ქანობით, ხოლო მისი საერთო ფართია 27 000 $м^2$, ძირითადი მისასვლელი გზა ასფალტირებულია, ბოლო 100 მეტრი მოხრეშულია. არის ელ. მომარაგება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ შემოღობილია, მასზე დგას კოტეჯი, ალაგ-ალაგ არის რამოდენიმე ხე, ძირითადი ნაწილი მწვანე ნარგავების გარეშეა.

**კოტეჯი** აშენებულია 1997 წელს აგურით, მის შემადგენლობაში შედის სამი საძინებელი ოთახი, სამზარეულო-სასადილო, საერთო ოთახი, აივნები, ორი სველი წერტილი და ავტოფარეხი ერთ მანქანაზე. შენობის საერთო ფართი შეადგენს 131.05 $მ^2$-ს, ოთახებში აგია წიფელის პარკეტი, გამოყენებულია ჩეხური მოსაპირკეთებელი მასალა, სანტექნიკა, ბუხარი მოპირკეთებულია გრანიტით.

**ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 312 300 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge .

*საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.*

# ხელშეუხებელი მისტერიების შესახებ

## აზრებისა და იმპრესიების ძიებაში 50 წელი

სოფო კილასონია

თითქოს ტრადიციაა, ყოველი წლის 24 სექტემბერი. ასეცაა, თუმცა იგი ტრადიციისთვის უჩვეულოდ მკაფიო ცვლილებებს განიცდის. ყოველ შემთხვევაში, ასე ხდება მას შემდეგ, რაც მე მისთვის თვალის დევნება დავიწყე. ბოლო სამი წლის განმავლობაში, იმის გარდა, რომ იცვლება მოქმედების ადგილი შტრიხები, იცვლება მოქმედების დატვირთვა და რაც მთავარია, იცვლება მთავარი გმირი და მისი მთავარი პერსონაჟები.

წელს გია ბულაძემ საკუთარი ორმოცდამეათე დაბადების დღე ხელოვნების მუზეუმში აღნიშნა. წლის შემაჯამებელმა გამოფენამ გასულ წლებთან შედარებით უფრო მასშტაბური სახე მიიღო. ექსპოზიცია ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებულ ტილოებს აერთიანებს, თუმცა გამოფენა მხოლოდ ტილოებს როდი წარმოადგენს. წლევანდელი შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს, სივრცის შექმნას, სადაც დამთვალიერებლის მოძრაობა და ემოცია, საერთო დინამიკა წინასწარ არის გათვლილი.

საგამოფენო დარბაზის რესურსებს კიდევ ოთხი დიდი სტენდი ემატება, რომელთა განლაგება საერთო სივრცეში კიდევ მიკრო მოცულობებს ქმნის, მიკრო ამბებით და სახეებით. ორი წლის განმავლობაში დახატულში ავტორი რამდენიმე მხატვრულ სახეს ქმნის. ცვლილებებს გია ბულაძე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, თუმცა დამთვალიერებელი პირველ რიგში ამით ინტრიგდება. ერთიანობაში ვხედავთ ორი წლის წინ დახატულ სურათებს რელიგიური, მითოლოგიური და ფილოსოფიური თემების ვარიაციებით და მათთან ერთად იმათ, რასაც ავტორი "ფსიქოლოგიურ იმპრესიებს" უწოდებს. თუმცა დამთვალიერებლისთვის ისინი ჯერ კიდევ დაუდგენელი ვინაობის სიახლეებია. ნატურმორტები და კომპოზიციები ინტიმური ინტერიერებით, ცხოვრებისეული და უტილიტარული დატვირთვის საგნებით. რა შეიცვალა ასახვის საგნის გარდა, რატომ აღმოჩნდა იმპრესიები მხატვრისთვის აქამდე ყველაზე აქტუალურ, "მხატვრულ მსჯელობაზე", ფუნჯით აზროვნებაზე წინ?

ამგვარი კითხვები ბევრი იყო, თუმცა არა მხოლოდ ჩემ მიერ დასმული, არამედ არაერთი ჩემი კოლეგის ავტორობით. საქმე ის გახლდათ, რომ ყველა სხვა სიახლესთან ერთად ბატონმა გიამ ერთი საინტერესო სიახლეც წარმოგვიდგინა და ვეჭვობ, ახალ ტრადიციადაც აქცია. 24 სექტემბერს გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა. ფართოდ წარმოდგენილი ხელოვანთა საზოგადოება, რომელთა შორის უმრავლესობას ახალგაზრდა მხატვრები და ბულაძის სტუდენტები წარმოადგენდნენ და კიდევ არაერთი, ვინც ხელოვნების მუზეუმში იქიდან გადმოფენილმა ბანერმა შეიტყუა. ყველაფერი ზედმეტად ჩვეულებრივი გამოვიდოდა, რომ არა ორი დღით ადრე, ჯერ კიდევ ბოლომდე დაულაგებელ საგამოფენო დარბაზში მხატვარს მედია საზოგადოებასთან რომ არ მოეწყო შეხვედრა. პატარა სკამებზე მოკალათებული კულტურის მიმომხილველები მხატვარს უსმენდნენ და ზოგად და კონკრეტულ კითხვებსაც უსვამდნენ. ეს არ ყოფილა პრესკონფერენცია გამოფენასთან დაკავშირებით, სულაც არა, ეს იყო უბრალოდ შეხვედრა და საუბრები მხატვრობაზე, რაც ასე რიგად წაადგებოდა ნებისმიერ ჟურნალისტს, ვისაც კულტურის მიმოხილვა პერმანენტულად უწევს. მაშინ აღინიშნა არაერთი მნიშვნელოვანი რამ, რამაც ამჟამად მიმდინარე გამოფენის ამოცანები ამოგვახსნევინა. მხატვარმა არაერთგზის აგვიხსნა, რომ მისმა მხატვრობამ სოციალური დატვირთვა დაკარგა და მასში მხოლოდ პირადი ემოციისა და განწყობისთვის დარჩა ადგილი.



გია ბულაძე და მისი ნამუშევარი.

გოგიტა ბახაიძის ფოტო



თუ აქამდე ბულაძის მხატვრობა ერთგავრი მხატვრული აქცია იყო, რომელიც დიალოგში იწვევდა საზოგადოებას და პირველ რიგში ალბათ საკუთარ თავს, თუ მასში გარკვეული ინტელექტუალური და რაციონალური მსჯელობა და თხრობა, როგორც საფუძველი, ძლიერი იყო, ბოლო პერიოდში მხატვარს საკუთარი იდეებისა და აზროვნების ტილოზე გამოსახვა, მხატვრობის ამ მიმართულებით მომართვა აღარ ესაჭიროება. გია ბულაძე საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც პიროვნება უკვე აქტიურად არის ჩაბმული და როგორც თავად ამბობს, მთლიანად ახორციელებს და გამოხატავს საკუთარ თავს ამ ასპარეზზე ისე, რომ მხატვრობას არ იშველიებს. ხელოვნებამ მისთვის ფუნქცია შეიცვალა, "დაიცალა" მძაფრი ქმედებისგან და შესაძლოა აზრობრივი იმპროვიზაციებისგანაც. ასე რომ არა, მეტად მსუყე ექსპოზიციაში, ვერ აღმოვაჩენდით მხატვრის სახელოსნოს, სამხატვრო აკადემიის კაბინეტში გაშენებულ ორანჟერეას, შვილების პორტრეტს და ავტოპორტრეტს ძველთბილისურ გარემოში. გამოდის, რომ ბულაძის ხილვადი აზრები ფსიქოლოგირ იმპრესიებად იქცა და სანამ ამ ძიებას დავასრულებდე, რომელიც მგონი არც ერთ ხელოვანს არ ხიბლავს დიდად, კიდევ იმას ვიტყვი, რომ მისი მხატვრობა და მისი ეს შთაბეჭდილებები ისე არასდროს ყოფილა მსგავსი თამაშისა, როგორც ახლა.

გამოფენა 12 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ჯერ კიდევ არის დრო, საკუთარი იმპრესიები შეიქმნათ. თუ ეს მაინც რთულ ამოცანად გესახებათ, შეიძლება მხოლოდ გარკვეული ეპიზოდების დაფიქსირებით შემოიფარგლოთ. მაგალითად იმ მძაფრი რაკურსებითა და კადრირებით სურათებში, რომლის მსგავს ეფექტებს არაერთი წარმატებული კინოოპერატორი ვერ მოახერხებდა, კიდევ იმის დანახვასაც შეძლებთ, თუ რითი იწყებდა ბულაძე. სანამ ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში შეხვალთ, მხატვრულ ამონარიდებს იხილავთ მისი 80-იანი წლების მხატვრობიდან. ("მალერის ადაჟიოსა" და "ქართლის ცხოვრების" სერიებიდან). როცა დარბაზში შეხვალთ, ძალიან ბევრი გექნებათ მოსავლელი, ივლით წრეზე და დიაგონალურად და ივლით ბევრად შორსაც. იქამდე, სანამ მერლინი შეგაჩერებთ, სანამ ქარონის ნავი განათდება, სანამ თეთრით დათოვლილ გადასასვლელს გადალახვთ, სანამ იქ მიხვალთ, სადაც უძღები მიგიყვანთ და სანამ სეკვენციას მისწვდებით. მერე მიხვდებით, რომ დიდხანს იარეთ და შესაძლოა ცოტა დაიღალეთ კიდეც. უბრალოდ მთავარია ისე წამოხვიდეთ, რომ არც დანაია შეალვიძოთ და არც ულამაზეს დილის მისტერიას დაუშაოთ რამე.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება შეწყვეტილი შესყიდვის პროცედურების განახლების შესახებ

შპს „საქართველოს რკინიგზა" აახლებს 2006 წლის 09 სექტემბერს შპს საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებულ ტენდერს საპროექტო სამუშაოების (*მარაბდა ახალქალაქის რკ.ხაზის წინწყარო-ნინოწმინდა ახალქალაქის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტირება; ახალქალაქი სატვირთო-კარწახი-თურქეთის საზღვრის ახალი ხაზის პროექტირება*) შესყიდვის შესახებ.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების (ღირებულებების გარეშე) წარმოდგენის ვადად კი განისაზღვროს მიმდინარე წლის **30 ოქტომბერი.**

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

*სატენდერო კომისია*

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნიკის შესყიდვის შესახებ გამოცხადებული სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 16 სექტემბერს გამოცხადებული იქნა ტენდერი **კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნიკის შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში, 1, 7, 8, 9 და 10 ლოტების განსაკუთრებულ თავისებურებებში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რის მიხედვითაც ზემოდ ჩამოთვლილი ლოტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.






# აფიშა

30 სექტემბერი - 1 ოქტომბერი

**თეატრი**

**ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
შაბათი
"დაისი"
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
"ის, მე და მისი მეგობარი დიუპრი"
დასაწყისი: 16:00; 18:00; 20:00; 22:00

**"რუსთაველი"**
"გარფილდი 2"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00;1 8.00;20.00
"მსოფლიო სავაჭრო ცენტრი"
დასაწყისი: 22.00

**მუსიკა**

ფესტივალ "ჩვენებურების" გახსნა
ვაკის პარკი - 20.00

**გალერეა**

**შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი**
გია ბულაძის პერსონალური გამოფენა
ფერწერა

**"ქარვასლა"**
ჩინური ფაიფურის გამოფენა
ფოტოგამოფენა - "ქართველი ემიგრანტები"

**"ვერნისაჟი"**
თენგიზ და გიორგი მირზაშვილების გამოფენა

**"ჰობი"**
ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

*მოკლედ*

## ჯოკონდას მორიგი საიდუმლო

კანადის ეროვნული კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა საგანგებო ლაზერული სკანერის დახმარებით ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზას შიდა შრე შეისწავლეს და, შედეგად, მონა ლიზას უჩვეულო გამოსახულება მიიღეს.

მათი განცხადებით, მონა ლიზა იმგვარ ტანსაცმელში გამოისახა, რომელსაც იტალიაში ორსული ან ახალმოლოგინებული ქალები ატარებდნენ. თმა კი შეკრული ჰქონდა.

"ასეთი მონა ლიზა არავის არასოდეს უნახავს", - განაცხადეს მკვლევარებმა. საერთაშორისო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მონა ლიზა ტილოზე მეორე შვილზე მშობიარობის შემდეგ არის გამოსახული. აქედან გამომდინარე, შედევრის შექმნის თარიღიც დგინდება - 1503 წელი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ბათუმის ხის თეატრი

ბათუმის ბულვარს უახლოეს მომავალში ხის თეატრი შეემატება.

კომპანია "ბაგები სიტი გრუპის" პროექტის მიხედვით, შენობა დიდი ხის კონსტრუქცია იქნება. იდეის ავტორები გეგმავენ, რომ თეატრი სწორედ იმ ნაგებობას დაამსგავსონ, რომელიც ოდესღაც ქალაქში არსებობდა.

თეატრი უცხოელებისთვის, ისევე როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ინტერესის ობიექტი უნდა გახდეს. თეატრს არ ეყოლება მუდმივი დასი. იქ ყველა რეჟისორს იმ კოლექტივთან მუშაობა შეეძლება, რომელსაც მიიწვევს.

თეატრის სახელწოდება ჯერჯერობით შერჩეული არ არის, თუმცა ის ძირითად სეზონური დანიშნულების იქნება, სადაც შემოქმედებითი ცხოვრება ზაფხულში უფრო აქტიურად წარიმართება.

*ინტერპრესნიუსი*

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სალიანდაგო მანქანების სათადარიგო ნაწილების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 26 სექტემბერს გამოცხადებული იქნა ტენდერი სალიანდაგო მანქანების სათადარიგო ნაწილების და მცირე სალიანდაგო მექანიზმების შესყიდვის შესახებ.

აღნიშნულ ტენდერში, მე-3 პუნქტში მოწოდების პირობა და ადგილი ნაცვლად - **DDP**, ქ. თბილისი-სა იკითხებოდეს მოწოდების პირობა და ადგილი CIP-ქ. თბილისი

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.



## მოკლედ

### გერმანია შემადგენლობას ასახელებს

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა იოაკიმ ლიოვმა დაასახელა იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებიც მომავალ თვეში გერმანიის ნაკრების ღირსებას დაიცავენ საქართველოსა და სლოვაკეთის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ გასამართ შეხვედრებში.

ბუნდესნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** რობერტ ენკე, ტიმო ჰილდებრანდი, იენს ლემანი

**მცველები:** მალიკ ფათჰი, არნე ფრიდრიხი, მანუელ ფრიდრიხი, კლემენს ფრიტცი, მარსელ იანსენი, ფილიპ ლამი, ალექსანდერ მადლუნგი

**ნახევარმცველები:** მიხაელ ბალაკი, ტორსტენ ფრინგსი, ტომაშ ჰიტცლშპირგერი, დავიდ ოდონკორი, ბერნდ შნაიდერი, ბასტიან შვაინშტაიგერი, პიოტრ ტროჩოვსკი

**თავდამსხმელები:** მაიკ ჰანკე, მიროსლავ კლოზე, ოლივერ ნოივილი, ლუკაშ პოდოლსკი, იან შლაუდრაფი

### "ჩელსის" აბრამოვიჩის ფული არ სჭირდება

ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს განცხადებით, "არისტოკრატები" თვითდაფინანსებაზე არიან და აბრამოვიჩის ფული აღარ სჭირდებათ.

"თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ-სამ მრავალმილიონიან კონტრაქტს, კლუბი მთლიანად თვითდაფინანსებაზეა", - აცხადებს მოურინიო.

პორტუგალიელმა ისიც თქვა, რომ მისტერ აბრამოვიჩთან არ მეგობრობს და კლუბის მფლობელთან მხოლოდ პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს.

### ბლოხინმა შემადგენლობა დაასახელა

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა 2008 წლის შესარჩევი ციკლის უახლოესი ორი მატჩისთვის, რომელსაც უკრაინელები იტალიისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ გამართავენ, ნაკრებში 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

**მეკარეები:** შოვკოვსკი, კერნოზენკო, შუსტი

**მცველები:** ნესმაჩნი, სვიდერსკი, გაი, კუჩერი, რუსოლი, ეზერსკი, შერშუნი, რომანჩუკი

**ნახევარმცველები:** გუსევი, ტიმოშჩუკი, ნაზარენკო, შელაევი, რიკუნი, ჰუსინი, კალინიჩენკო

**თავდამსხმელები:** შევჩენკო, ვორონინი, ვორობეი, ბელიკი, მილევსკი

### ორიგინალური გამოსავალი

მოგეხსენებათ, ელისტაში მიმდინარეობს საჭადრაკო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ვესელინ ტოპალოვსა და ვლადიმირ კრამნიკს შორის. თუ ორგანიზატორები გადამწყვეტ ზომებს არ მიიღებდნენ, ბულგარელი დიდოსტატი მატჩის ჩაშლით იმუქრებოდა. საქმე ის არის, რომ მოჭადრაკეებს პირადი საპირფარეშოები ჰქონდათ, სადაც, ცხადია, ვიდეოკამერები დამონტაჟებული არ იყო. პარტის მსვლელობისას საჭიროების შემთხვევაში ორივე მოჭადრაკე თავის საპირფარეშოში გადიოდა. თითქოს ამაში განსაკუთრებული არაფერია, თუმცა ტოპალოვის სეკუნდანტებმა დათვალეს და გაირკვა, რომ ერთ-ერთი პარტიისას კრამნიკმა დაახლოებით 50-ჯერ მიაკითხა საჭირო ოთახს, რაც აშკარად ბადებს ეჭვებს. ბულგარელების თქმით, კრამნიკი საერთოდ ყველა პარტიისას საეჭვოდ ხშირად დადიოდა ტუალეტში.

მოკლედ, ამ ოდნავ კომიკური ისტორიიდან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩის ორგანიზატორებმა არანაკლებ კურიოზული გამოსავალი მოიფიქრეს.

ამიერიდან ტოპალოვი და კრამნიკი საერთო ტუალეტში გავლენ, მაგრამ ორგანიზატორებმა ორივე მოჭადრაკისთვის რატომღაც ქალთა ტუალეტი შეარჩიეს. შეგახსენებთ, რომ მატჩს ჯერჯერობით კრამნიკი იგებს - 3:1.

### რომარიოს მიზანი

კარიერის განმავლობაში ბრაზილიელმა ფორვარდმა რომარიომ 977 გოლი გაიტანა. ვეტერან ფეხბურთელს სურს, რომ ეს მაჩვენებელი გაზარდოს და 1000-იან ნიშნულს გადააბიჯოს. ამ მიზნით უკვე ასაკში შესული ფეხბურთელი არაფრით არ ეშვება სპორტს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ბრაზილიელმა ერთ-ერთ ავსტრალიურ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი და ამ გუნდის შემადგენლობაში 4 ოფიციალურ მატჩს გამართავს.

### რუნი რინგისკენ მიილტვის

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ფორვარდს უეინ რუნის გარეგნობით ხშირად ადარებენ მოკრივეს. თურმე რუნის კრივი ისედაც ჰყვარებია. მან რინგზე საპაექროდ მსოფლიო ჩემპიონი ქვემძიმე წონაში რიკი ჰატონი გამოიწვია. ამის შესახებ თავად ჰატონმა გაუმხილა ჟურნალისტებს.

"ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე უეინმა მესიჯი გამომიგზავნა და შემომთავაზა რინგზე დაპირისპირება. მომწერა, რომ ჩემთვის მსოფლიო ჩემპიონის ქამრის წართმევა სურს. მე ვუპასუხე, რომ ეს ქამარი მას პატარა ექნება, რადგან იმდენ ჩიფსს ჭამს, რომ დიდი ღიპი აქვს. უეინი დამპირდა, რომ მაგრად გამლახავდა. ცხადია, გამოწვევა მივიღე. ვუპასუხე, ნებისმიერ დროს, ბიჭუნავ, სადაც გინდა და როცა გინდა, იქ დაგიპირისპირდები-მეთქი.

საერთოდ, უეინთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს და მესიჯებსაც ვუგზავნით. მართალია, იმ გუნდში არ თამაშობს, რომელშიც უნდა თამაშობდეს (ჰატონი "მანჩესტერ სიტის" გულშემატკივარია), მაგრამ მაინც კარგი ბიჭია. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა რინგზე შევხვდებით ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ორივე კმაყოფილი დავრჩებით. ღირსეული მოწინააღმდეგე იქნება, მით უმეტეს, რომ ფანტასტიკური იუმორის გრძნობა აქვს", - აცხადებს რიკი ჰატონი.

### ადუ არ ჩქარობს

ამერიკელ ვუნდერკინდად შერაცხულ ფრედი ადუს ჯერჯერობით ევროპაში არ უშვებენ. არადა, არაერთი ევროპული კლუბი ეპატიჟება. ამჟამად 17 წლის შავკანიანი გენიოსი კლუბ "დი სი იუნაიტედში" თამაშობს და თავადაც ამბობს, რომ ევროპაში სათამაშოდ გადასვლა მისთვის ჯერ ნაადრევია.

### სქოულზისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ

ბრიტანეთის სექსუალურ უმცირესობათა დაცვის ორგანიზაცია დაჟინებით ითხოვს პოლ სქოულზისგან, რომ მან ბოდიში მოუხადოს ფრანკ დე ბლეკერს.

"მანჩესტერისა" და "ბენფიკას" მატჩის მე-10 წუთზე მსაჯზე გაბრაზებულმა სქოულზმა არაორაზროვნად წამოაძახა ბლეკერს მისი სექსუალური ორიენტაციის თაობაზე. ეტყობა, ეს ინციდენტი მხოლოდ სექსუალური უმცირესობების დაცვის ორგანიზაციისთვის გახდა ცნობილი, ვინაიდან უეფაში გაგზავნილ ოქმში ასეთი არაფერი ყოფილა.

მიუხედავად ამისა, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მომხრეებმა ოფიციალურად მიმართეს სქოულზს: "ფეხბურთელები სერიოზულად უნდა დაისაჯონ, თუ ჰომოფობიაში არიან შემჩნეულები. ფეხბურთელსა და მსაჯს მხოლოდ იმიტომ არ უნდა შეექმნეს პრობლემა, რომ იგი ჰომოსექსუალია. კარგი იქნება, თუ სქოულზი ბოდიშს მოიხდის".

ამ ისტორიაში ყველაზე კომიკური ის არის, რომ აქამდე ბლეკერის სექსუალურ ორიენტაციაში ეჭვი არავის შეჰქონდა, თავისი განცხადებით კი სექსუმცირესობების დამცველებმა ბელგიელი არბიტრი ფაქტობრივად ჰომოსექსუალად გამოაცხადეს.

### ესპანეთი რაულის გარეშე

ლუის არაგონესმა დაასახელა ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მადრიდის "რეალის" კაპიტანი რაული ნაკრებში არ აღმოჩნდა. მართალია, ოფიციალური ვერსიით რაული ტრავმის გამო არ ითამაშებს, თუმცა ყველამ იცის, რომ არაგონესი რაულს შემოსწყრა. რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ სანამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი იქნება, რაულს არ ათამაშებს.

არაგონესის რჩეულთა სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** კასილიასი, რეინა

**მცველები:** ანტონიო ლოპესი, პაბლო იბანიესი, პუიოლი, ხუანიტო, კაპდევილია, სერხიო რამოსი

**ნახევარმცველები:** ფაბრეგასი, რეიესი, ინიესტა, ხავი, ლუის გარსია, ხაბი ალონსო. ალბელდა, ანგულო

**თავდამსხმელები:** ფერნანდო ტორესი, დავიდ ვილია

# რუსმა ჩემპიონობისთვის კბილი, ქართველმა კი გონება დაკარგა

ბიბა ბურასაშვილი

*"თავისუფალთა" მსოფლიო ჩემპიონატი დასრულებულია. საქართველოს ნაკრები ჩინეთიდან კარგი ნადავლით მოდის. უკეთესი იქნებოდა, თუ ამ ნადავლში ერთი ოქროს მედალიც იქნებოდა, რომლის მოპოვების შანსი სამჯერ გვქონდა, მაგრამ სამჯერვე ხელი მოგვეცარა. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები შინ სამი ვერცხლის მედლით ბრუნდება.*

ჩემპიონატის დასკვნითი დღე 96 და 120 კგ-მდე წონით კატეგორიებს დაეთმო, თუ, რა თქმა უნდა, ქალთა ასპარეზობებს არ მივიღებთ მხედველობაში.

96 კგ წონაში საქართველოს სახელით ამ რანგის ტურნირზე პირველად იასპარეზა გიორგი გოგშელიძემ, რომელიც 2005 წლამდე რუსეთის სახელით გამოდიოდა და 2001 წელს მსოფლიო ჩემპიონობა და ევროპის ვიცე-ჩემპიონობა იზეიმა. საქართველოს სახელით ევროპის ჩემპიონატზე პირველად წლეულს ვიხილეთ, როდესაც ბრინჯაო მოიპოვა.

96 კგ-მდე წონაში საქართველოს ნაკრების პირველი ნომრისგან წარმატებას მსოფლიო ჩემპიონატზეც ველოდით, თუმცა რა სინჯის იქნებოდა გოგშელიძის მედალი, ეს ძნელი გამოსაცნობი იყო.

როდესაც საქართველოს ნაკრები ჩინეთში მიემგზავრებოდა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ პროგნოზებისგან თავი შეიკავა. მხოლოდ ის თქვა, მედლებისთვის ვიბრძოლებთო. თურმანიძის შეგირდებმა სამჯერ გააღწიეს ფინალში, მათ შორის გიორგი გოგშელიძემაც, რომელსაც ფინალამდე ოთხი მეტოქის ჩამოშორება მოუხდა. აღსანიშნავია მეორე შეხვედრა, როდესაც ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი და ამავე რანგის ასპარეზობათა სამი ვერცხლისა და ერთიც



შარშან გაცალოვთან კურტანიძეს უწევდა შეჭიდება, ახლა ამას გოგშელიძე აკეთებს.

ბრინჯაოს მედლის მფლობელი ირანელი ალირეზა ჰეიდარი დაამარცხა. გოგშელიძე ფინალში რუს ხაჯიმურად გაცალოვს შეხვდა. მასთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს. რუსი ფალავანი კი საკუთარი შედეგებით მართლაც გამორჩეულია ამ წონაში - ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი, სამგზის ევროპის ჩემპიონი და ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

ქართველისა და რუსის დაპირისპირებაში ჩემპიონის გარკვევას სამი პერიოდი, ნერვების წყვეტა, გაცალოვის დაკარგული კბილი და გოგშელიძის გულის წასვლა დასჭირდა.

მოვლენები პირველივე პერიოდიდან დაიძაბა. ის იყო გოგშელიძემ რუსი მხრებში შებოჭა, რომ ეს უკანასკნელი ელდანაცემივით დაუსხლტა ქართველს. გაცალოვმა მსაჯს მიმართა. რეფერიმ მაგიდის მსაჯებთან რაღაც მიიტანა, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, გაცალოვის კბილი ყოფილა. ორთაბრძოლა გაგრძელდა და ქართველის გამარჯვებით დასრულდა. გოგშელიძე ახლოს იყო მეორე პერიოდში გამარჯვებასთანაც, რომელიც ჩემპიონის წოდებას მოუტანდა, მაგრამ აშკარა იყო, რაღაც უჭირდა. უცნაურად მოძრაობდა. მეტოქეებმა ერთმანეთს ქულა ვერ აართვეს. მსაჯმა ჟეტონი ააგდო. უპირატესობა ქართველს მიენიჭა. მაგრამ გოგშელიძემ უპირატესობა ვერ გამოიყენა და ქულა გაცალოვს დარჩა. დაინიშნა მესამე პერიოდი. ქართველი უფრო დაიბნა, რეტდასხმული მოძრაობდა, დგომა და სუნთქვა უჭირდა. მეტოქესაც თითქმის არ გასძალიანებია. შეიძლება ითქვას, რომ ორთაბრძოლა შეწყვიტა. ჩემპიონობა გაცალოვს დარჩა. გოგშელიძე მუხლებზე თავჩაქინდრული იდგა. რეფერიმ ადგომა უბრძანა, მაგრამ ქართველი მის სიტყვებზე არ რეაგირებდა. გოგშელიძემ გონება დაკარგა. მის გონზე მოყვანას ჟანგბადის ბალიში და დაახლოებით ათი წუთი დასჭირდა. ამის გამო ორგანიზატორებმა დაჯილდოების ცერემონიალიც კი გადადეს.

გაცალოვი კი შეხვედრის შემდეგ გაბრაზებული ჩანდა.

"გოგშელიძესთან ფინალისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდი. კარგად ვიცოდი რაც მელოდა და წინასწარ განვეწყე პროვოკაციებისთვის. ვარაუდი გამართლდა. გოგშელიძე არასწორად მოიქცა, - გაცალოვი პირველ პერიოდზე ამახვილებს ყურადღებას, - ნამდვილი მამაკაცები ხალიჩაზე ასე არ იქცევიან. ჩემს გაგუდვას 30 წამი ცდილობდა. ასეთი ილეთისთვის კი 12-15 წამია ნებადართული, მან კი 30 წამით დამიჭირა! ასე მოქცევა არ შეიძლება. ასე ურთიერთობის გარკვევა და, საერთოდ, კაცურად დალაპარაკება მხოლოდ ორთაბრძოლის შემდეგ შეიძლება.

ჭიდაობა - ეს შერკინებაა, ჩხუბია, მაგრამ დამარცხებისა თუ გამარჯვების შემდეგ ყოველთვის გადავეხვევი ჩემს მეტოქეს და მადლობასაც გადავუხდი. აი, გოგშელიძეს კი, რომელსაც ხელს არასდროს ვართმევდი, არც მომავალში ჩამოვართმევ".

გარკვეულ წარმატებას მძიმე წონაშიც ველოდით, მაგრამ უმალ ცივი შხაპი მივიღეთ. ლუკა კურტანიძე, რომელიც შარშანდლამდე 96 კგ წონაში გამოდიოდა, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო დამძიმების შემდეგ წლეულს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსაც შესწვდა, საკუთარ თავს მხოლოდ პირველ შეხვედრაში ჰგავდა. შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ამერიკელი ტოლი ტომპსონი ქართველი ფალავნისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა. არ ვიცი, სამომავლოდ რა მიზნები აქვს კურტანიძეს, მაგრამ აშკარაა, მძიმე წონაში უჭირს. და კიდევ: ერთხელ მითხრა, სეზონის ბოლოს უნდა გადავწყვიტო, გავაგრძელებ კარიერას თუ არაო.

# ყოჩ გეგენავას რეიდები

პოლონეთის ქალაქ სოპოტში მიმდინარე ახალგაზრდა (20 წლის) მორაგბეთა ევროპის პირველობაზე ჩემპიონმა საქართველომ ხუთშაბათს, მეორე რაუნდში, ესპანეთი ფიცხელ ბრძოლაში, 12 ქულით სძლია და თუ ფინიშზე რუმინეთსაც აჯობებს, ტიტულს ხომ დაიცავს და ეგებ გაისადაც მიიწვიონ ირბ-ის 12-გუნდა მსოფლიო თასზე.

მომავალმა ბორჯღალოსნებმა სტარტზე რუსეთს 15:7 კი სძლიეს, მაგრამ ლელო ვერ გაიტანეს. ამჯერად თემურ ბენდიაშვილის (ლოკომოტივი) შეგირდებმა სამგზის იყოჩაღეს. მეორე ლელოზე ბეკმა ირაკლი გეგენავამ (ყოჩები) 30-მეტრა, ფინტებიანი სოლო მოაწყო, მესამეზე კი მისივე გარღვევა ბურჯმა ბექა შეყლაშვილმა (ხულიგანა) ძალისმიერად დააგვირგვინა. ლელოებს ქართველთა კიკერმა ლაშა მალაღურაძემ (ოდესა) სამი გოლი დაურთო.

ესპანეთმა პირველ რაუნდში რუმინეთისგან 9 ლელო მიირთვა და 0:62 წააგო, მაგრამ როგორც უწინაც ხშირად მომხდარა, მაინცდამაინც "ვილაც კავკასიელებთან" გამოიდო თავი: პირველ წუთზევე დაწინაურდა და ორივე ტაიმის ბოლოსაც წამოგვეწია, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა და თუ ფინიშზე რუსეთთანაც დამარცხდება, მეორე ჯგუფში მიბრუნდება.

საქართველო რუმინეთს კვირას, 1 ოქტომბერს ოგნივოს სტადიონზე, ჩვენებურად დღის პირველ საათზე ეთამაშება, შინისკენ კი ორშაბათს გამოსწევს.

**საქართველო 23:11 ესპანეთი**

**საქართველო - 3 ლელო:** კუპრეიშვილი, გეგენავა, შეყლაშვილი

**გარდასახვა, 2 საჯარიმო:** მალაღურაძე

**ესპანეთი - ლელო:** პარეხა

**2 საჯარიმო:** გუტიერესი

**რეფერი:** ვენტურა იტალია - 0:3 (1) 3:3 (12), 8:3 (22), 8:6 (35) / 15:6 (47), 15:11 (79), 18:11 (80), 23:11 (80+2).

**P.S.** რუსეთთან ჩხუბის შემდეგ გაძევებული გურამ ქიზიყურაშვილი (ლელო) აერ-მა დასაჯა ექვსი (6) კვირით, რუსი ორლოვი კი მხოლოდ ერთით.

*მასალა მომზადებულია საიტზე http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm*

# 19 წლამდელები რუმინულ ბარიერთან



19 წლამდელები რუმინეთში ითამაშებენ.

მიხეილ აბაიშვილი

4 ოქტომბერს საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ელიტ-რაუნდში აიღებს სტარტს. ტურნირს რუმინეთი უმასპინძლებს და მასში ქართველი ჭაბუკების გარდა მასპინძლების, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ბელგიის 19 წლამდელები იასპარეზებენ.

ჩვენი გუნდი რუმინეთში სტამბულის გავლით დღეს, გამთენიისას გაემგზავრა. 4 ოქტომბერს საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება არცთუ ძლიერი ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი. მომდევნო მატჩი ჩვენებს მასპინძლებთან 6 ოქტომბერს ელით, ხოლო დასკვნითი თამაში ბელგიელებთან 8 ოქტომბერს შედგება. საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები - რევაზ თევდორაძე (ზაპოროჟიეს "მეტალურგი", უკრაინა), თეიმურაზ კაკალაძე (ბათუმის "დინამო"); მცველები: გულვერდ თომაშვილი (თბილისის "დინამო"), გიორგი ხიდეშელი ("ზესტაფონი"), გიორგი ელბაქიძე ("ამერი"), დავით მჭედლიშვილი ("ამერი"), ზურაბ გვაძაბია ("ამერი"), ლაშა თოთაძე ("გაგრა"); ნახევარმცველები - გიორგი განუგრავა ("ზესტაფონი"), ნიკო კვასხვაძე ("ზესტაფონი"), მირზა ბჟალავა ("ზესტაფონი"), რევაზ წულაძე ("ვიტ ჯორჯია"), თამაზ ჩარგეიშვილი (თბილისის "დინამო"), ზურაბ მაილაშვილი ("მერანი"), ალექსი ბენაშვილი ("ზესტაფონი"); თავდამსხმელები - ბექა გოცირიძე ("ზესტაფონი"), რატი წინამძღვრიშვილი ("ამერი"), ვახტანგ კვარაცხელია ("ოლიმპი"). საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებს მირზა ბჟალავა უკაპიტნებს.

ჩვენმა 19 წლამდელებმა რამდენიმე, მათ შორის ერთი უცხოური, საწვრთნელი შეკრება გაიარეს და, შეიძლება ითქვას, კარგ ფორმაში არიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ რუმინეთში ეს გუნდი წარმატებულად იასპარეზებს. "ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მოახლოებულ შესარჩევ ტურნირში ნაკრებმა საკუთარი პოტენციალი მაქსიმალურად გამოავლინოს. ჩატარდა ძალზე დიდი მოცულობის სასელექციო სამუშაო, გუნდს არ მოჰკლებია არც საწვრთნელი შეხვედრა, არც საკონტროლო ამხანაგური მატჩები. დიდი იმედი მაქვს, რომ რუმინეთში ჩვენი გუნდი სტატისტის როლში არ იქნება და რეალურად იბრძოლებს ფინალური ეტაპის საგზურისთვის", - განუცხადა "24 საათს" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა.

ბოლო დღეებში ჩვენმა გუნდმა სამი ტესტმატჩი გამართა, რომელთაგან ორში გაიმარჯვა და ერთში დამარცხდა. ჯერ უმაღლესი ლიგის ბინადარს "მერანს" სძლიეს (2:0), მერე პირველლიგელი "გაგრა" დაამარცხეს კიდევ უფრო შთამბეჭდავად - 9:4, ბოლოს კი თავად დამარცხდნენ ორი წლით უმცროსებთან - საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებთან (0:2). აღსანიშნავია, რომ ჩვენს 17 წლამდელებსაც ოქტომბრის ბოლოს ანალოგიური ტურნირი ელით, თან საკუთარ კედლებში. 17 წლამდელთა ელიტრაუნდს თბილისი უმასპინძლებს.



**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge




საქართველოს ეროვნული ბანკი ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი ფინანსისტის, საქართველოში თანამედროვე საბანკო სისტემის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბატონ

**ვლადიმერ (გიზო) პატეიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.